www.24saati.ge

24 საათი

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 2 ნოემბერი, 2013 წელი. | №3399 (206) | ფასი 50 თეთრი

პარლამენტმა სააკაშვილის ბოლო ვეტო დაძლია

დათო გამისონია

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებების პროექტზე პრეზიდენტის მიერ დადებულ ვეტოს გუშინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ხანგრძლივი კამათი მოჰყვა.

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მრჩეველმა ნინო კალანდაძემ პარლამენტის წინაშე კანონპროექტის შესახებ პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები წარადგინა.

კანონპროექტის თანახმად, მოსამართლეები უვადოდ დანიშვნის მიზნით 3-წლიანი გამოსაცდელი ვადით განწესდებიან. როგორც ნინო კალანდაძე აღნიშნავს, პრეზიდენტის ერთ-ერთი შენიშვნა იმას ეხება, რომ გამოსაცდელი ვადა არა მხოლოდ იმ მოსამართლეებზე გავრცელდება, რომლებიც მომავალში დაინიშნებიან, არამედ მათზეც, ვისაც საქმიანობის თუნდაც 10-წლიანი გამოცდილება აქვთ. კალანდაძის თქმით, ეს გულისხმობს იმას, რომ ამ მოსამართლეებმა ყველა თეორიული და პრაქტიკული ეტაპი, მათ შორის შუალედური მოსამზადებელი გზა - იუსტიციის უმაღლესი სკოლა გაიარეს.

პრეზიდენტს შენიშვნები აქვს ასევე მოსამართლეთა საქმიანობის მონიტორინგის მექანიზმის მიმართ. კალანდაძის თქმით, იუსტიციის საბჭოს არცთუ გამართლებული მექანიზმის მეშვეობით შესაძლებელი გახდება მოსამართლეთა საქმიანობის გადახედვა, რაც სრულაიდ დაუშვებელია.

პრეზიდენტისთვის ის წესიც მიუღებელია, რომლის მიხედვითაც წილისყრით იუსტიციის საბჭოს ერთი მოსამართლე შეირჩევა, რომელიც კონკრეტული მოსამართლის საქმიანობას მონიტორინგს გაუწევს.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

გიგა ბოკერიას ირინა იმერლიშვილი შეცვლის

პრეზიდენტის უფლებების შეცვლასთან ერთად, უშიშროების საბჭოს ფუნქციებიც მცირდება. პრეზიდენტის ინაუგურაცია 17 ნოემბერს შედგება. მას შემდეგ, რაც გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტის უფლებამოსილებით აღიჭურვება, ირინა იმერლიშვილი უშიშროების საბჭოს მდივანი გახდება. დეპუტატმა შეთავაზებაზე თანხმობა უკვე განაცხადა. მისი თქმით, პოსტზე დანიშვნის შემდეგ უშიშროების საბჭოს საქმიანობა მნიშვნელოვნად შეიცვლება.

„მას შემდეგ, რაც 17 ნოემბრიდან ახალი პრეზიდენტი გვეყოლება, იგი დანიშნავს უშიშროების საბჭოს მდივანს. მე ეს შეთავაზება მიღებული მაქვს და თანხმობაც უკვე განვაცხადე. ეს იქნება თვისობრივად განსხვავებული უშიშროების საბჭო, ისევე როგორც გვეყოლება თვისობრივად სხვანაირი პრეზიდენტი. ვინაიდან ახალი კონსტიტუცია შევა ძალაში, მისაღებია კანონი უშიშროების საბჭოს შესახებ და პირველ რიგში ზუსტად ამ ცვლილებებზე ვიმუშავებთ, შემდეგ კი უკვე ახლებურად გავაგრძელებთ უშიშროების საბჭოს ფორმირებასაც და მუშაობასაც,“ - განაცხადა ირინა იმერლიშვილმა.

მას შემდეგ, რაც ირინა იმერლიშვილი უშიშროების საბჭოს მდივანი გახდება, მას დეპუტატის მანდატზე უარის თქმა მოუწევს, რადგან აღნიშნული თანამდებობა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელია. საარჩევნო სიაში კი იმერლიშვილის ადგილმონაცვლე მანანა ბერიკაშვილია, რომელსაც ამჟამად კულტურის მინისტრის მოადგილის თანამდებობა უკავია და რომელიც „თავს კულტურის სფეროში უფრო ხედავს.“

მანანა ბერიკაშვილის თქმით, მან მხოლოდ გუშინ შეიტყო იმის შესახებ, საარჩევნო სიით სწორედ მას უწევს დეპუტატობა და ამაზე არ უფიქრია.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

სნოუდენი გერმანიას გამოძიებაში დაეხმარება

ივა შილაკაძე

ედუარდ სნოუდენი და ჰანს-კრისტიან შტრიობელე

აშშ-ს სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომელი ედუარდ სნოუდენი, რომელმაც მედიას ამერიკის მიერ წარმოებული შპიონაჟის მასშტაბების შესახებ ზღვა ინფორმაცია გადასცა, გერმანელებს კანცლერ ანგელა მერკელის მობილური ტელეფონის მოსმენის საკითხის გამოძიებაში დახმარებას ჰპირდება. სნოუდენს აგვისტოდან რუსეთში ერთი წლით დროებითი თავშესაფარი აქვს მიცემული და საიდუმლო მისამართზე ცხოვრობს.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ევროპარლამენტის მისიამ „ტიმოშენკოს კანონპროექტი“ აირჩია

თამთა კახაძე

ევროპარლამენტის წარმომადგენლებმა პეტ კოკსმა და ალექსანდრ კვასნევსკიმ ოპტიმალური ვარიანტი შეარჩიეს, რომელმაც უკრაინის ყოფილი პრემიერის იულია ტიმოშენკოს უცხოეთში მკურნალობა უნდა უზრუნველყოს. „24 საათის“ გუშინდელ ნომერში ვრცლად იყო მიმოხილული ექვსი შესაძლო ვარიანტი, რომლიდანაც სამი უმაღლესი რადას მიერ სხვადასხვა ტიპის კანონების მიღებას გულისხმობდა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643	⇓
1 ევრო	2.2110	⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933	⇓
1 თურქული ლირა	0.8622	⇓
100 რუსული რუბლი	5.0433	⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

„ანორთოსისში“ თემურ ქეცბაიას დაბრუნებაზე მსჯელობენ

გიგა გურასაშვილი

კვიპროსში წერენ, ფამაგუსტას „ანორთოსისი“ გასაჭირშია და სირთულეების დასაძლევად კლუბის ყოფილ მწვრთნელს (2004-2009), დღეს კი საქართველოს ნაკრების თავკაცს, თემურ ქეცბაიას უხმობენო.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ნატალი QUEEN კოლი

გიგა გურასაშვილის ფოტოზე

კონსტანტინ ეგერტი - სააკაშვილისთვის ჯვარის დასმა ნაადრევია

„სააკაშვილისთვის ჯვარის დასმა ნაადრევია“, - ამ სათაურით აქვეყნებს „ბი-ბი-სის“ რუსული ბიურო კონსტანტინ ეგერტის ბლოგს. როგორც ავტორი აღნიშნავს, მიხეილ სააკაშვილს არაერთხელ შეხვედრია და ეს შეხვედრები ყოველთვის ურთიერთგანსხვავებულ შთაბეჭდილებებს უტოვებდა. მისივე თქმით, თქმა არ უნდა, რომ მიხეილ სააკაშვილი პატრიოტი და თავისი ქვეყნის კეთილმოსურნეა, არ ანიჭებს დიდ მნიშვნელობას პროტოკოლს, ურთიერთობებისას უშუალო და პირდაპირია.

„ესტონური ეკონომიკური სასწაულის“ მამას, ქვეყნის ყოფილ პრემიერ მარტ ლაარს თუ არ ჩავთვლით, შესაძლოა, სააკაშვილი ყველაზე წარმატებული პოსტსაბჭოთა რეფორმატორია. რა თქმა უნდა, სააკაშვილი ჩქარობდა, თავისი რეფორმები შეუქცევადი ყოფილიყო, რადგან მხოლოდ საკუთარ თავს მიიჩნევდა მტკიცე გარანტიად,“ - წერს კონსტანტინ ეგერტი.

ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ საკუთარი შეხედულებებისგან განსხვავებული მოსაზრებებისადმი შეუწყნარებლობამ, ჰიპერაქტიურობამ, სიყვარულის სიძულვილით სწრაფად შეცვლამ სააკაშვილს ჯერ მომხრეები, მერე კი მოქალაქეების დიდი ნაწილი ჩამოაშორა.

„ყველა წარუმატებლობაში ყოველთვის მტრები იყვნენ დამნაშავენი - რუსეთის აგენტები, შევარდნაძის მომხრეები, ფარული კორუფციონერები. ამ მხრივ მიხეილ სააკაშვილი ძალიან ჰგავს პუტინს, ლუკაშენკოს, ალიევსა და სხვა პოსტსაბჭოთა ლიდერებს. არც ერთი მათგანი არ აღიარებს შეცდომებს და თავის წარუმატებლობაში საგარეო ძალებს ადანაშაულებს,“ - წერს კონსტანტინ ეგერტი.

როგორც ბლოგშია აღნიშნული, რა თქმა უნდა, ცოტა ვინმეს თუ ეპარება ეჭვი, რომ, მინიმუმ, 2006 წლიდან კრემლმა ყველაფერი გააკეთა „რუსეთის ნომერ პირველი მტრის“ პოზიციების ძირის გამოსათხრელად. თუმცა, თავად სააკაშვილიც საკუთარი საქციელით ხშირად უიოლებდა ცხოვრებას ოპონენტებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მოსკოვში.

„ჩემი აზრით, რუსეთთან წაგებულმა ომმაც კი ვერ მიაყენა სააკაშვილის იმიჯს ისეთი დარტყმა, როგორიც ბოლო წლებში გატარებულმა მისმა საშინაო პოლიტიკამ. ვფიქრობ, მიმავალმა პრეზიდენტმა კიდევ ერთი და შესაძლოა, საბედისწერო შეცდომა დაუშვა, როცა ბევრ ჟურნალისტთან მოუვიდა უთანხმოება. ჩემი ქართველი კოლეგების უმრავლესობას კი აღარ სჯეროდა, რომ მიხეილ სააკაშვილისთვის სიტყვის თავისუფლება მართლაც ძვირფასი იყო,“ - წერს რუსი პოლიტიკური მიმომხილველი.

კონსტანტინ ეგერტი ასევე აღნიშნავს, რომ 1996 წელს რუსი ჟურნალისტების 99 პროცენტმა რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში ბორის ელცინს დაუჭირა მხარი, რადგან იცოდნენ, რომ ის სიტყვის თავისუფლებას არ ჩაახშობდა. 2012-2013 წლების საქართველოში ასეთი რწმენა ცოტას თუ ჰქონდა. თუმცა, ავტორის აზრით, საქართველოში მედიის მდგომარეობა აშკარად უკეთესია, ვიდრე რუსეთში.

როგორც რუსი პოლიტიკური მიმომხილველი აღნიშნავს, ადამიანები, რომლებიც ხუთი წლის წინ მიხეილ სააკაშვილის არჩევას მიესალმებოდნენ, ახლა სახელმწიფოს მიმავალი მმართველის მიმართ ანგარიშსწორებას მოითხოვენ. მისი ათობით მომხრე ციხეშია და სისხლის სამართლის საქმე თავად მასაც ემუქრება.

„პრემიერი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ქართულ პოლიტიკურ სცენაზე მისტიკურად გამოჩნდა, საკმაოდ გასაგებად მიანიშნებს, რომ მზად არის, ვლადიმირ პუტინის სურვილი შეასრულოს და მას, ფიგურალურად რომ ვთქვათ, სააკაშვილის თავი მიართვას,“ - წერს კონსტანტინ ეგერტი.

ავტორი ასევე შენიშნავს, რომ ყველა ახალი ლიდერი წინამორბედის მემკვიდრეობისგან გათავისუფლებას და დამარცხებული ოპონენტების ციხეში გამომწყვდევას ჩქარობს, ამით უნდობლობის ჩაკეტილი წრე იქმნება, რომელსაც ნებისმიერი რეფორმის განადგურება შეუძლია.

როგორც კონსტანტინ ეგერტი წერს, ბოლო წელს მიხეილ სააკაშვილის ქცევა პატივისცემას იწვევს, რადგან ის კონსტიტუციას დაემორჩილა და საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებზე თავისი მოკავშირეების მარცხი უპირობოდ აღიარა.

„იყო თუ არა სააკაშვილი ნამდვილად წარმატებული სახელმწიფო მოღვაწე, ამას ხვალვე ვერა, მაგრამ ძალიან მალე გავიგებთ. ამის შესაფასებლად მარტივი კრიტერიუმები არსებობს: გააგრძელებს თუ არა არსებობას მიმავალი პრეზიდენტისა და მისი გუნდის რეფორმირებული სასამართლო სისტემა და პოლიცია, ანტიკორუფციული კანონმდებლობა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის კურსი - სწორედ ამ კითხვებზე პასუხი განსაზღვრავს სააკაშვილის ადგილს ისტორიაში,“ - წერს კონსტანტინ ეგერტი.

ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოში გამართული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მთავარი, რაც მედიაში იწერებოდა, ის იყო, რომ „მიშას ეპოქა სამუდამოდ დასრულდა“, თუმცა როგორც რუსი პოლიტიკური მიმომხილველი კოლეგებს ურჩევს, უმჯობესია, „არასოდეს თქვან არასოდეს“.

„რა თქმა უნდა, სააკაშვილი ფიქრობს, რომ ბედისწერა პოლიტიკაში დაბრუნების შანსს მისცემს. ეს არ იქნება ადვილი, მაგრამ ამის გამორიცხვა არ შეიძლება, რადგან პოსტსაბჭოთა პოლიტიკაში სახალხო სიყვარულიდან სიძულვილამდე, მერე კი ისევ სიყვარულამდე ერთი კი არა, სულ რაღაც, ნახევარი ნაბიჯია,“ - წერს კონსტანტინ ეგერტი.

გიგა ბოკერიას ირინა იმერლიშვილი შეცვლის

პირველი გვერდიდან

„ალბათ იქ ვიქნები, სადაც საჭიროა. დავფიქრდები, თუმცა ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, მე ჩემს თავს უფრო კულტურის სფეროში ვხედავ,“ - აღნიშნა მანანა ბერიკაშვილმა.

თუ მანანა ბერიკაშვილი დეპუტატობაზე და, შესაბამისად, კულტურის მინისტრის მოადგილის პოსტიდან გადადგომაზე უარს იტყვის, პარლამენტში ირინა იმერლიშვილის ადგილს ფეხბურთელი მურთაზ ხურცილავა დაიკავებს.

რაც შეეხება, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის ახალ თავმჯდომარეს, მას პარლამენტი პლენარულ სესიაზე აირჩევს.

თავად ირინა იმერლიშვილმა არ იცის, ვინ შეცვლის მას და ამბობს, რომ პრეზიდენტის ინაგურაციამდე კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობის დატოვებას არ აპირებს.

„ალბათ, პარლამენტის უმრავლესობა მოითათბირებს, თუ ვინ დაიკავებს ამ თანამდებობას, თუმცა მე მანამ არ დავტოვებ კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობას, ვიდრე არ მოხდება ინაუგურაცია, არ აირჩევენ ახალ პრეზიდენტს და ახალი პრეზიდენტი არ დამნიშნავს უშიშროების საბჭოს მდივნად,“ - აღნიშნა იმერლიშვილმა.

ირინა იმერლიშვილი საქართველოში პირველი ქალი გენერალია. ის „ქართული ოცნების“ რიგებში 2012 წლიდან ირიცხება. საქართველოს პარლამენტში „ქართული ოცნების“ უმრავლესობით მოსვლის შემდეგ ის ჯერ იურიდიული კომიტეტის წევრი, შემდეგ კი საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე გახდა.

ირინა იმერლიშვილი პროფესიით ბიოლოგია, თუმცა პოლიტიკური მოღვაწეობის თითქმის ოცწლიანი გამოცდილება აქვს. მიხეილ სააკაშვილის იუსტიციის მინისტრობის დროს იმერლიშვილს მინისტრის მოადგილის თანამდებობა რამდენიმე წელიწადს ეკავა. შემდეგ საქმიანობა არასამთავრობო ორგანიზაციაში განაგრძო, მოგვიანებით „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი გახდა, ცოტა ხანში კი უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტს დაიკავებს.

აღნიშნულ თანამდებობაზე ირინა იმერლიშვილის დანიშვნას საპარლამენტო უმრავლესობაში დადებითად აფასებენ. თუმცა, თინა ხიდაშელის განცხადებით, იმერლიშვილი პარლამენტისთვის ძალიან მნიშვნელოვანი დანაკლისი იქნება.

„ირინა პარლამენტისთვის ძალიან მნიშვნელოვანი დანაკლისი იქნება, რადგან ის კომიტეტის თავმჯდომარე და ასევე ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პარლამენტის წევრია. ყოველთვის ძალიან ცუდია, როცა ასეთი ადამიანები პარლამენტიდან მიდიან. თუმცა, ის არსად წასულა, მიდის კიდევ უფრო საპასუხისმგებლო საქმის გასაკეთებლად. ვფიქრობ, ძალიან საინტერესო იქნება, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ უშიშროების საბჭოს მდივანი ქალი ხდება და ასევე იმიტომ, რომ ახალი საკონსტიტუციო მოდელის ამოქმედების შემდეგ ამ ორგანოსთვის თვისობრივად ახალი ეტაპი იწყება და საინტერესო ექსპრიმენტი იქნება,“ - განაცხადა თინა ხიდაშელმა.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ დავით საგანელიძის აზრით, უშიშროების საბჭოს მდივნად ირინა იმერლიშვილის კანდიდატურა საუკეთესოა.

„შეთავაზება, როგორც ჩანს, იყო და ძალიან კარგია, რომ ირინა დათანხმდა. მე ვრჩები ჩემს პოზიციაზე, რომ იმერლიშვილის კანდიდატურა ყველაზე საუკეთესოა და ეს ერთ-ერთი ყველაზე კარგი გადაწყვეტილება იყო,“ - განაცხადა საგანელიძემ.

ზვიად ძიძიგური მიიჩნევს, რომ უშიშროების საბჭოს ირინა იმერლიშვილის სახით ღირსეული თავმჯდომარე ეყოლება, რომელიც ბევრი კარგ საქმეს გააკეთებს.

„მისი სახით საქართველოს უშიშროების საბჭოს ღირსეული თავმჯდომარე ეყოლება. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ არის ხელმძღვანელი. ვფიქრობ, ახლა ის შემთხვევა გვექნება, როდესაც უშიშროების საბჭო ბევრ კარგ საქმეს გააკეთებს,“ - აღნიშნა ზვიად ძიძიგურმა.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი დავით დარჩიაშვილი კი მიიჩნევს, რომ უშიშროების საბჭოსადმი მთავრობის დამოკიდებულება დილეტანტურია.

„უშიშროების საბჭოს მიმართ ისეთი დილეტანტური დამოკიდებულება, როგორიც დღეს არის, შევარდნაძის დროსაც არ მახსენდება. თავში აზრად არავის მოუვიდოდა უშიშროებისა და თავდაცვის ერთმანეთისგან გაყოფა. ეს არის ორგანო, სადაც ყველაფერი, რაც უსაფრთხოებას ეხება - ჯარიდან ეკოლოგიამდე - უნდა განიხილებოდეს და ამ მიმართულებით საჭირო პოლიტიკის განხორციელებისთვის კოორდინირება ხდებოდეს. ადამიანებმა, რომლებმაც ეს არ იციან და ამ საკითხებში ხელებს აფათურებენ, კარგი იქნება, ვინმე ისეთს მოუსმინონ, ვისაც ამ თემატიკასთან შეხება ჰქონია,“ - განაცხადა დავით დარჩიაშვილმა.

დავით დარჩიაშვილის ამ განცხადებას პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი გამოეხმაურა.

„მიკვირს უმცირესობის ასეთი უპასუხისმგებლო განცხადება. დღევანდელმა უმცირესობამ 2010 წელს კონსტიტუციაში ისეთი ცვლილებები განახორციელა, რომლებიც კრიტიკას ვერ უძლებდა და დღეს ჩვენ სწორედ მათ მიერ განხორციელებული ცვლილებების შედეგებს ვიმკით,“ - განაცხადა სესიაშვილმა.

უშიშროების საბჭოს მოქმედი მდივანი გიგა ბოკერია კი გადადგომის შესახებ განცხადების დაწერას უახლოეს მომავალში გეგმავს. ბოკერია უფლებამოსილებას ინაუგურაციამდე, მიხეილ სააკაშვილის წინაშე მოიხსნის.

ბაჩო ახალაია მიხეილ სააკაშვილს შეწყალების თხოვნით მიმართავს

სააპელაციო სასამართლოში პროკურატურის საჩივრის განხილვა დაიწყო, რომელიც ბაჩო ახალაიას მიმართ სამხედროების წამების საქმეზე საქალაქო სასამართლოს გამამართლებელ განაჩენს ეხება.

უფრო კონკრეტულად კი, პროკურატურა თავდაცვის ყოფილ მინისტრს და მასთან ერთად ბრალდებულებს სამხედროების მიმართ არაადამიანურ მოპყრობასა და ზვიად აბესაძისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთას ედავებოდა, მაგრამ სასამართლომ ბაჩო ახალაია და მასთან ერთად ბრალდებულები - გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსი გიგი კალანდაძე, მე-4 ქვეითი ბრიგადის ყოფილი ხელმძღვანელი ზურაბ შამათავა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წარმომადგენელი გაგა მკურნალიძე, სერჟანტი ალექსანდრე გორდაძე, მერაბ კიკაბიძე, მანუჩარ დარასელია და გიორგი კინწურაშვილი უდანაშაულოდ ცნო.

სააპელაციო სასამართლოში გუშინდელ პროცესზე პროკურორი საჩივარს თითქმის ოთხი საათის განმავლობაში კითხულობდა, დაცვის მხარე კი მიიჩნევს, რომ პროკურატურის საჩივარი დაუსაბუთებელია.

სააპელაციო სასამართლო პროკურატურის საჩივრის განხილვას 11 ნოემბერს გააგრძელებს. 11 ნოემბრის პროცესზე, მხარეები დასკვნით სიტყვებს იტყვიან, რის შემდეგაც სასამართლოს გადაწყვეტილება გახდება ცნობილი.

ამასთან, აღსანიშნავია რომ ბაჩო ახალაია სასამართლომ კიდევ ერთ - „შვიდი სპეცრაზმელის“ საქმეზეც გაამართლა. მაგრამ ამით ახალაიას წინააღმდეგ აღძრული საქმეები არ ამოწურულა - მოსამართლემ ლაშა ჩხიკვაძემ შს და თავდაცვის ყოფილ მინისტრს 3 წელი და 9 თვე მიუსაჯა „ციხის ბუნტის“ საქმეზე, სადაც დაზარალებულებლად ე.წ. კანონიერი ქურდები და კრიმინალური ავტორიტეტები არიან ცნობილი.

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბაჩო ახალაია ციხის ბუნტის საქმეზე პრეზიდენტ სააკაშვილს შეწყალების თხოვნით მიმართავს. პარალელურად, შს და თავდაცვის ყოფილი მინისტრი აღნიშნულ საქმეზე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს.

„ციხის ბუნტის საქმეზე განაჩენი პოლიტიკურად იყო მოტივირებული. გადაწყვეტილება ქურდების ჩვენებებზე იყო დამყარებული. ამიტომ, ბაჩო ახალაიას პოზიციაა, რომ შეწყალებისთვის მიმართოს პრეზიდენტს,“ - აღნიშნა ახალაიას ადვოკატმა გოგა ონიანმა.

შს და თავდაცვის ყოფილი მინისტრის კიდევ ერთი ადვოკატის მალხაზ ველიჯანაშვილის თქმით კი, შეწყალების თხოვნის მიუხედავად, დაცვის მხარეს აქვს უფლება, ციხის ბუნტის საქმეზე სამართლებრივი ბრძოლა გააგრძელოს. ადვოკატების ინფორმაციით, გამამტყუნებელი განაჩენი სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდება.

ცნობისათვის - ციხის ბუნტის საქმეზე ბაჩო ახალაიას გამამტყუნებელი განაჩენი მოსამართლემ 28 ოქტომბერს გამოაცხადა. განსაზღვრული სასჯელი 5 წელს შეადგენდა, თუმცა ამნისტიის შედეგად ერთი მეოთხედის შემცირების შემდეგ სასჯელმა 3 წელი და 9 თვე შეადგინა.

სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი მიხეილ სააკაშვილის მიერ ბაჩო ახალაიას შეწყალებას ვარაუდობს და აღნიშნავს, რომ სააკაშვილის გამორიცხული არაფერია.

„ადამიანი, რომელიც სასამართლომ დამნაშავედ ცნო, მან იმავე დღეს გაათავისუფლა და გუბერნატორად დანიშნა. ეს არის სასამართლოს, ხალხისა და ყველაფრის დაცინვა. ყველა უკიდურესად შეშფოთებულები ვართ ჯერ კიდევ პრეზიდენტის უპასუხისმგებლო ქცევით, თორემ მისი შეწყალებებით საზოგადოებრივ წესრიგს საფრთხე ვერ შეექმნება,“ - განაცხადა მინისტრმა.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ მიხეილ სააკაშვილი ბაჩო ახალაიას შეიწყალებს, შს და თავდაცვის ყოფილი მინისტრი საპატიმროს ვერ დატოვებს, რადგან ბაჩო ახალაიას კიდევ ერთი ბრალი აქვს წარდგენილი, რომელიც სანდრო გირგვლიანის საქმეს ეხება. აღნიშნულ საქმეზე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის - საკუთარი ძმის დავით ახალაიასა და სანდრო გირგვლიანის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში მონაწილე სხვა პირთათვის უკანონო უპირატესობის მინიჭების მოტივით - 26 ოქტომბერს სასამართლომ შს და თავდაცვის ყოფილ მინისტრს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

პარლამენტმა სააკაშვილის ბოლო ვეტო დაძლია

პირველი გვერდიდან

ნინო კალანდაძე დაგეგმილი ცვლილებების მიმართ რამდენიმე პარლამენტარის პოზიციით გაკვირვებულია. **„კვლავ რევიზიის მექანიზმი იარსებებს და მოსამართლეებს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად, მხოლოდ კანონისა და საკუთარი მრწამსის ფარგლებში მიღების საშუალება არ ექნებათ. ამ ცვლილებით ისინი პოლიტიკურ კონიუნქტურაზე იქნებიან დამოკიდებულნი. ეს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობაში ფუნდამენტური ჩარევა და მისი ხელყოფაა. მიჭირს, დავიჯერო, რომ ეს არ ესმით ვახტანგ ხმალაძეს, თინა ხიდაშელს და დავით უსუფაშვილს. მახსოვს, რომ ეს ადამიანები სასამართლო დამოუკიდებლობისთვის თავგამოდებით და წრფელი გულით იბრძოდნენ. ეს პრინციპი მათთვის ფუნდამენტური ღირებულებაა,“** - აღნიშნავს ნინო კალანდაძე.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ შალვა შავგულიძემ კალანდაძის გამოსვლის შემდეგ თქვა, რომ კომიტეტი კანონპროექტზე პრეზიდენტის შენიშვნებსა და მის მიერ წარმოდგენილ ალტერნატიულ კანონპროექტს არ იზიარებს. როგორც შავგულიძე ამბობს, კანონპროექტის მომზადება განპირობებულია 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით, რომლებიც ახლად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე ამოქმედდება. უმრავლესობის წევრი აღნიშნავს, რომ კონსტიტუცია მოსამართლის უვადოდ განწესებამდე მოსამართლის განსაზღვრული ვადით დანიშვნის შესაძლებლობასაც უშვებს, მაგრამ არაუმეტეს 3 წლისა. მისი თქმით, კანონპროექტში სწორედ ეს დებულებაა ასახული.

შალვა შავგულიძემ პრეზიდენტის შენიშვნების საპასუხოდ, სამოსამართლეო საქმიანობის საერთაშორისო რეგულაციები მოიხმო. **„მოსამართლეთა სტატუტის შესახებ ევროპის ქარტია მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნას ითვალისწინებს. იქვე მითითებულია, რომ მონიტორინგი უნდა განახორციელოს ორგანომ, რომელიც აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი იქნება. ამ ორგანოს შემადგენლობაში სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები მნიშვნელოვანწილად უნდა იყვნენ წარმოდგენილნი. ისინი სასამართლო კორპუსის ყველაზე უფრო წარმომადგენლობითი ორგანოების არჩეულები უნდა იყვნენ,“** - ამბობს შალვა შავგულიძე. კანონპროექტში ასეთ ორგანოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოა მითითებული.

შავგულიძე ყურადღებას ვენეციის კომისიის დასკვნაზეც ამახვილებს, რომელიც 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებს ეხება. პარლამენტარის თქმით, ვენეციის კომისია გამოსაცდელი ვადით მოსამართლეთა განწესებას დასაშვებად მიიჩნევს, ოღონდ დასკვნაში გარკვევით არის აღნიშნული, რომ გამოსაცდელი ვადის პერიოდში მოსამართლეთა მონიტორინგისთვის ისეთი კრიტერიუმები უნდა შეირჩეს, რომლებიც მათ საქმიანობაში დამოუკიდებლობას და საქმიანობის ობიექტურ შეფასებას უზრუნველყოფს.

„პრეზიდენტის შენიშვნებში აღნიშნულია, რომ გამოსაცდელი ვადის შესახებ გადაწყვეტილება თითქოს პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით იქნება მიღებული, მაგრამ არგუმენტს არავინ ასახელებს. იმ წესის მიხედვით, რომელიც კანონპროექტში მოსამართლეთა საქმიანობის მონიტორინგს ეხება, მას შემდეგ, რაც გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლე ერთი წელი იმუშავებს, წილისყრით იუსტიციის საბჭოს ერთ წევრი შეირჩევა, რომელიც კონკრეტული მოსამართლის საქმიანობას პოსტფაქტუმ შეისწავლის. 3 წლის შემდეგ ამ შემთხვევით შერჩეული წევრების მიერ შესწავლილი დალუქული დოკუმენტაცია გაიხსნება და გადაწყვეტილებას იუსტიციის საბჭო კოლეგიურად მიიღებს. მოსამართლის დამოუკიდებლობის ხელყოფა გამორიცხულია,“ - განმარტავს შალვა შავგულიძე.

რაც შეეხება კიდევ ერთ შენიშვნას, რომელიც პრეზიდენტს უვადოდ განწესებამდე მოქმედი მოსამართლეებისთვისაც გამოსაცდელი ვადის დაწესების მიმართ აქვს, შალვა შავგულიძე პასუხობს, რომ ყველა მოსამართლე თანაბარი პირობებით უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, მას სამოსამართლო პრაქტიკა აქვს თუ არა.

შალვა შავგულიძის შეფასებით, ყველაზე საფრთხილო საკითხი მოსამართლეთა მონიტორინგის კრიტერიუმებია და ამიტომ კანონპროექტის ეს ნაწილი ღიად რჩება.

შავგულიძის თქმით, 2014 წლის მაისამდე პარლამენტმა უნდა შეიმუშავოს კრიტერიუმი, რომლის მეშვეობითაც მონიტორინგი განხორციელდება. როგორც შავგულიძე აღნიშნავს, კრიტერიუმების შემუშავებაში საერთაშორისო ორგანიზაციები და ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას. **„მოხარულნი ვიქნებით, თუ პროცესში ვენეციის კომისია ჩაერთვება. იმედი მაქვს, ასეთი ძალისხმევით კვალიფიციურ და სამართალზე ორიენტირებულ მოსამართლეთა კორპუსს მივიღებთ,“** - ამბობს შალვა შავგულიძე.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ პლენარულ სხდომაზე აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება გამონაკლისს არ წარმოადგენს, რადგან მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნამდე გამოსაცდელი ვადის დაწესების პრაქტიკა ბევრ ქვეყანას აქვს, მათ შორის ლატვიას, გერმანიას, ავსტრიასა და სხვა ქვეყნებს.

ბესელიას თქმით, არავის უკვირს ის, რომ სასამართლოს მიმართ საერთაშორისო ორგანიზაციები 9 წლის განმავლობაში კრიტიკურ დასკვნებს აკეთებდნენ. სწორედ ამ მიზეზით ხსნით დეპუტატი კანონპროექტში შესულ ნორმებს. **„ევროპულ წესს ვამკვიდრებთ. მოსამართლე ყველა კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს იმისთვის, რომ ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე უვადოდ დანიშნო,“** - დასძენს ეკა ბესელია.

ბესელიას უმცირესობიდან ჩიორა თაქთაქიშვილი გამოეხმაურა. **„ეკა ბესელიას ავიწყდება, რომ ლატვიაში იუსტიციის მინისტრი თეა წულიკიანი არ არის,“** - ამბობს თაქთაქიშვილი. მისი შეფასებით, უადგილოა ლატვიის მაგალითის მოტანა, სადაც მოსამართლეებს მინისტრების წარდგინებით პარლამენტი ამტკიცებს. როგორც თაქთაქიშვილი ამბობს, ლატვიაში პარლამენტს არც მილიარდერის მიერ შეკონწიწებული კოალიცია „ქართული ოცნება“ მართავს.

რაც შეეხება დაგეგმილ საკანონმდებლო ცვლილებებს, თაქთაქიშვილი დარწმუნებულია, რომ თითოეული მოსამართლე, რომელიც ამ ცვლილებების ამოქმედების შემდეგ დაინიშნება, წნეხის ქვეშ მოექცევა. **„უვადოდ დანიშვნამდე მოსამართლეს 3 წლის განმავლობაში ინდივიდუალური კონტროლიორი დაენიშნება,“** - შენიშნავს ჩიორა თაქთაქიშვილი, - **„ამით მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, რაც წინგადადგმულ ნაბიჯი იყო, დასამარებულია.“**

საპარლამენტო უმცირესობის წევრ გიორგი კანდელაკის აზრით, კანონპროექტი გამოხატავს მთავრობის სურვილს, რომ სასამართლო სისტემა საკუთარ პოლიტიკურ კონტროლს დაუქვემდებაროს. **„თავის დროზე, როცა მოსამართლეების გამოსაცდელი ვადით დანიშვნის საკითხი შემოდიოდა, ჩვენს შორისაც აზრთა სხვადასხვაობა იყო. მაგრამ ამჟამად წარმოდგენილი მოდელის აზრი ის არის, რომ 3 წლის განმავლობაში ამოარჩიოთ მთავრობისთვის მისაღები მოსამართლეები, ხოლო ვინც მიუღებელი იქნება, მათ ათას მიზეზს მოუძებნიან და არ დანიშანვენ,“** - მიიჩნევს გიორგი კანდელაკი.

საქმე ის არის, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, რომელიც გამოსაცდელი ვადით განწესებული მოსამართლეების საქმიანობას მონიტორინგს გაუწევს, ამჟამად მოქმედი 13 წევრიდან 9 მოსამართლეა. 4 არასამოსამართლე წევრი კი პარლამენტის მიერ არის დამტკიცებული.

გიორგი კანდელაკი უკმაყოფილებას იმის გამოც გამოთქვამს, რომ კანონპროექტს ვენეციის კომისიის ექსპერტიზაც არ გაუვლია და ამ საკითხის შესახებ მოსაზრება არც ევროკავშირის და ევროსაბჭოს სპეციალისტებს გამოუთქვამთ.

პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე ამბობს, რომ უმრავლესობას წარსულისგან მიღებული მემკვიდრეობის შეცვლა და სასამართლო ხელისუფლების ძალადობისგან გათავისუფლება სურს. როგორც კობახიძე აღნიშნავს, არავის მოსწონდა კორუმპირებული და მექრთამე მოსამართლეები, მაგრამ არც ის სასამართლო იყო მოსაწონი, რომელზეც პროკურატურა ძალადობდა.

მანანა კობახიძის შეფასებით, პრეზიდენტის შენიშვნებში იმის შესახებ, რომ ამ კანონპროექტის მიღება სასამართლოს დამოუკიდებლობას ხელს შეუშლის, დასაბუთებული არ არის. ამასთან, კობახიძე მიუთითებს, რომ კონსტიტუციის თანახმად, მოსამართლე შეიძლება, 3-წლიანი გამოსაცდელი ვადით დაინიშნოს.

„ეს საკონსტიტუციო ცვლილება 2010 წელს არის მიღებული, თუ მაშინ ეს შესაძლებელი იყო, დღეს რა ხდება? უმცირესობის აღშფოთება გაუგებარია. გამოსაცდელი ვადით მოსამართლის განწესება მიღებული პრაქტიკაა და არაერთ ქვეყანაში გამოიყენება. მოსამართლისთვის ზედამხედველის და კონტროლიორის დანიშვნას არავინ აპირებს,“ - ამბობს მანანა კობახიძე.

კობახიძის მტკიცებით, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ სასამართლო პრაქტიკა შეცვლილია. მისი თქმით, ნათელია, რომ სასამართლოში გამამართლებელი განაჩენი მიიღწევა, სასამართლო პროკურატურისგან ნამდვილად დამოუკიდებელია. ახლა კი, როგორც კობახიძე ამბობს, საჭიროა, სასამართლო ხელისუფლების გამართულად ფუნქციონირება კანონმდებლობის დონეზე იყოს უზრუნველყოფილი.

სხდომის ბოლოს პარლამენტმა 97 ხმით პრეზიდენტის ვეტო დაძლია. როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, თუკი მიხეილ სააკაშვილი ბოლო ერთ კვირაში რომელიმე კანონპროექტს ვეტოს არ დაადებს, ეს მისი ბოლო ვეტო იქნება.

პრეზიდენტის ინაუგურაციის ხარჯები ჯერ დათვლილი არ არის

ახლად არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაცია 17 ნოემბერს შედგება, მანამდე კი, ორშაბათს, ინაუგურაციის ღონისძიებათა საორგანიზაციო სამთავრობო კომისია ცერემონიალის სცენარს დეტალურად განიხილავს.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია ამბობს, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფი სამინისტრო ტექნიკურ საკითხებს მოაგვარებს. **„ჩვენ, ძირითადად, საორგანიზაციო საკითხებში ვერთვებით. რეგიონებში თუ რამე კომპონენტი იქნება, მონაწილეობას აუცილებლად მივიღებთ. ამასთან, სამინისტრო სატრანსპორტო საშუალებებს გამოყოფს, რადგან საქართველოში მრავალრიცხოვანი დელეგაციები უნდა ჩამოვიდნენ. ახლა კეთდება პროგრამა, რომლის შესაბამისად ყველა უწყების პასუხისმგებლობა გაიწერება,“** - ამბობს დავით ნარმანია. მისი ინფორმაციით, ჯერჯერობით ინაუგურაციისთვის საჭირო თანხის რაოდენობა დადგენილი არ არის.

პრეზიდენტის ინაუგურაციის შესახებ ისაუბრა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა. მისი ინფორმაციით, ინაუგურაციაზე დასასწრებად აშშ-დან მაღალი რანგის დელეგაცია ჩამოვა. როგორც ნორლანდი აღნიშნავს, მათ საგარეო საქმეთა სამინისტროსგან ოფიციალური მიწვევა უკვე მიიღეს. **„ვაშინგტონში ჩვენი ხელმძღვანელობა ამ საკითხზე მსჯელობს. ჯერ ცნობილი არ არის, დელეგაციის შემადგენლობაში კონკრეტულად ვინ იქნება,“** - აღნიშნავს რიჩარდ ნორლანდი.

საკუთარი ინფორმაცია

„უოლ სტრიტ ჯორნალი“: „მიხეილ სააკაშვილი ქართველი ჯორჯ ვაშინგტონია“

„მიხეილ სააკაშვილი ქართველი ჯორჯ ვაშინგტონია“ - ამ სათაურით აქვეყნებს სტატიას ამერიკული გამოცემა „უოლ სტრიტ ჯორნალი“.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, „მხოლოდ პრეზიდენტ სააკაშვილის გარემოცვამ თუ იცის, რა ტკივილს განიცდის ექს-პრეზიდენტი“.

„საქართველოს პრეზიდენტი ხელისუფლებას არაპოპულარული და დაუფასებელი ტოვებს,“ - წერს სტატიის ავტორი და იქვე გამოთქვამს იმედს, რომ „ისტორია ბევრად ლმობიერი მოსამართლე გახდება“.

ავტორის შეფასებით, „10-წლიანი მმართველობის პერიოდში სააკაშვილმა ბევრი შეცდომა დაუშვა, მაგრამ ძირეულ საკითხებში მართალი იყო და ქვეყანას, რომელიც რუსეთის ჩექმის პირობებში გადარჩენას ცდილობდა, ენერგია და იდეალები მოუტანა.“

„სააკაშვილმა რეფორმა გაატარა საგზაო პოლიციაში, რომელიც მექრთამეობით იკვებებოდა; მისი მმართველობის პერიოდში ეკონომიკა 6 პროცენტით გაიზარდა, თუმცა 2007 წელს არამყარი დემოკრატიული ტრადიციების მქონე ერის ქარიზმატულმა ლიდერმა ხელისუფლების საწინააღმდეგო აქციები დაშალა, დახურა ეროვნული არხი, 2008 წელს კი ვლადიმერ პუტინის რუსეთთან ომი გამოიარა.

მიხელ სააკაშვილი ქართველი ჯორჯ ვაშინგტონია, რომელიც ტოვებს თანამდებობას მას შემდეგ, რაც რეგიონში დემოკრატიის განვითარებას შეუწყო ხელი - რეგიონში, სადაც ლიდერები, ძირითადად, დიქტატორებად გვევლინებოდნენ. მის მიღწევებს ივანიშვილმა პატივი უნდა სცეს, შეინარჩუნოს საქართველო რეგიონში სამაგალითო ქვეყნად და უარი თქვას პოლიტიკურ შურისძიებაზე“ - წერს ამერიკული გამოცემა.

რიჩარდ ნორლანდი - საქართველომ მომავალი პრემიერი თავად უნდა შეარჩიოს

საქართველომ მომავალი პრემიერ-მინისტრი თავად უნდა შეარჩიოს, - ამის შესახებ აშშ-ს ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა ჟურნალისტებს თემის კომენტირებისას განუცხადა. მედიის წარმომადგენლების კითხვას - თავად არის თუ არა რაიმე ფორმით ჩართული საქართველოს მომავალი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის შესარჩევ კონსულტაციებში, ელჩმა უპასუხა, რომ ეს საკითხი საქართველოს გადასაწყვეტია.

რიჩარდ ნორლანდის შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ჰყავს ახალი პრეზიდენტი, რომლის ინაუგურაციაც 17 ნოემბერს შედგება.

„ასევე, საქართველოს ეყოლება ახალი პრემიერ-მინისტრი იმავე პარტიიდან. საქართველოს ჰყავს პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც ამ თანამდებობაზე ერთი წელია, მუშაობს და უმცირესობის ლიდერი დავით ბაქრაძე, რომლის პარტიამ არჩევნებში მეორე ადგილი დაიკავა. საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევების დასაძლევად მნიშვნელოვანია სხვადასხვა პარტიების თანამშრომლობა. საქართველოს ნამდვილად არ აქვს დასაკარგი დრო და მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს ის მრავალწლიანი მიღწევები, რომლებიც საქართველოს პოლიტიკური დამსახურებაა,“ - განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა.

„ინვესტბანკში“ ეროვნული ბანკის დროებითი ადმინისტრაცია შევიდა

სააქციო საზოგადოება „ინვესტბანკში“ საქართველოს ეროვნული ბანკის დროებითი ადმინისტრაცია შევიდა, - ამის შესახებ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე ეროვნული ბანკის დირექტორმა, გიორგი ქადაგიძემ განაცხადა. მისი თქმით, აღნიშნულ გადაწყვეტილებას ეროვნულმა ბანკმა „ინვესტბანკში“ გამოვლენილი დარღვევების შინაარსისა და სიმძიმის გამო მიიღო.

„ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ ოდნავ მაინც ჩრდილი მიადგეს საბანკო სექტორის ნდობას. ამ კონტექსტში მინდა გითხრათ, რომ „ინვესტბანკში“ ეროვნული ბანკის შემმოწმებელთა ჯგუფის მიერ მთელი რიგი დარღვევები იქნა აღმოჩენილი. დარღვევების შინაარსიდან და სიმძიმიდან გამომდინარე, მივიღეთ გადაწყვეტილება, „ინვესტბანკში“ დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის თაობაზე. დროებითი ადმინისტრაცია განაგრძობს მუშაობას არსებულ აქციონერებთან ჩვენი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. თუ ჩვენი მოთხოვნები იქნება დაკმაყოფილებული, უახლოეს მომავალში დროებითი ადმინისტრაცია დატოვებს ბანკს“, - განაცხადა გიორგი ქადაგიძემ.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განმარტებით, თუ მოთხოვნები არ იქნება დაკმაყოფილებული, ეროვნული ბანკი იმოქმედებს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

„აქვე აუცილებლად მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ ბანკის არც ერთ კლიენტს არ შეექმნება არანაირი შეფერხება საბანკო ოპერაციების მიწოდების კუთხით. მინდა დავადასტურო, რომ ეროვნული ბანკის ყველა გადაწყვეტილება ემსახურება ჩვენს მთავარ მიზანს, ეს არის საბანკო სტაბილურობის უზრუნველყოფა, რომელიც თავის მხრივ არის ეკონომიკის განვითარების მთავარი პირობა; ჩვენი მთავარი ამოცანაა, ჩვენს თითოეულ მოქალაქეს არ ჰქონდეს არანაირი შეფერხება საბანკო სერვისის მიღების კონტექსტში“, - განაცხადა გიორგი ქადაგიძემ.

ისრაელმა სირიის სამხედო ბაზაზე დარტყმა განახორციელა

ისრაელმა სირიის ქალაქ ლატაკიაში, სამხედრო ბაზაზე საჰერო იერიში მიიტანა. ეს ინფორმაცია ამერიკელმა ოფიციალურმა პირმაც დაადასტურა. ამერიკელი ჩინოვნიკის თქმით, დარტყმა განხორციელდა რუსული წარმოების სარაკეტო სისტემაზე, რომელიც რადიკალურ ლიბანურ დაჯგუფება „ჰეზბოლას“ ეკუთვნის. ლატაკია სირიის უმიშვნელოვანესი საპორტო ქალაქია, სადაც ალავიტების დიდი ნაწილი ცხოვრობს და პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის დასაყრდენად მიიჩნევა.

„ბი-ბი-სი“-ის ინფორმაციით, წელს ისრაელმა სირიაზე, სულ მცირე, სამი საჰერო იერიში განახორციელა. ადრე ასადმა განაცხადა, რომ ამ დარტყმებს უპასუხოდ არ დატოვებდა.

ობამას მრჩევლებს ბაიდენის კლინტონით ჩანაცვლება სურდათ

ამერიკელი ჟურნალისტების მარკ ჰალპერინისა და ჯონ ჰეილემანის წიგნის ერთ-ერთი პირველი ეგზემპლარი „ნიუ-იორკ თაიმსს“ ჩაუვარდა ხელში. გამოცემის მიხედვით, ახალ წიგნში „Double Down“-ში მოთხრობილია ობამას მრჩევლების შეთქმულების შესახებ, რომელთაც ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენის თანამდებობიდან გადაყენება დაისახეს მიზნად. ეს იდეა, სავარაუდოდ, პირველმა უილიამ დეილმა წამოაყენა. ახალი წიგნის მიხედვით, მრჩევლები ფიქრობდნენ, რომ ობამას პოპულარობის გასაზრდელად ბაიდენი ჰილარი კლინტონით ჩაენაცვლებინათ. თუმცა, შემდეგ მივიდნენ დასკვნამდე, რომ ეს ნაბიჯი, კლინტონის პოპულარობის მიუხედავად, ობამას რეიტინგზე დიდ ზეგავლენას არ იქონიებდა და ამ გეგმაზე უარი თქვეს.

სატელეფონო საუბარში უილიამ დეილმა დაადასტურა, რომ მას ისეთი კვლევების ჩატარება სურდა, რომლებიც პრეზიდენტ ობამას ირგვლივ სიტუაციის გაუმჯობესებაში დაეხმარებოდათ. ობამას რეიტინგი იმ პერიოდში (2011 წელს) მისი მმართველობის მანძილზე ყველაზე დაბალი იყო. დეილი საპრეზიდენტო არჩევნების დროს ობამას შტაბს ხელმძღვანელობდა და დაწვრილებით სწავლობდა ფოკუს-ჯგუფების გამოკითხვებს: „მე ყველა შესაძლო ვარიანტს ვსწავლობდი და ეს ერთ-ერთი მათგანი იყო,“ - აღნიშნა დეილმა, რომელმაც თავისი ქმედება უბრალო „გულმოდგინებას“ მიაწერა.

საბერძნეთი განვითარებული ქვეყნების სიიდან ამორიცხეს

საბერძნეთმა მაღალი დონის ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში ადგილი დაკარგა. ამ ქვეყანას S&P-ისა და Dow Jones Indices-ის ანალიტიკოსებმა განვითარებადი ქვეყნის სტატუსი მიანიჭეს. „უკანასკნელი წლების განმავლობაში საბერძნეთის საფონდო ბაზარი მნიშვნელოვნად შემცირდა. ამასთან, საბერძნეთის საკრედიტო რეიტინგი „B-“-ის დონეზე რჩება, მაშინ როცა განვითარებული ქვეყნების მინიმალური საკრედიტო რეიტინგი „BB+“-ია,“ - საუბარია სააგენტოს განცხადებაში. ბოლო პერიოდში საბერძნეთის პარლამენტმა ევროკავშირისგან ფულადი დახმარების მისაღებად 29 000 სახელმწიფო მოხელე გაათავისუფლა.

ნატო რუსეთის საზღვრებთან წვრთნებს იწყებს

ამ უქმეებზე ნატო ლატვიასა და პოლონეთში მასშტაბურ სამხედრო სწავლებას იწყებს. Steadfast Jazz-ის წვრთნებში, რომელიც 2 ნოემბერს დაიწყება და 7 ნოემბრამდე გაგრძელდება, 7000 ჯარისკაცზე მეტი მიიღებს მონაწილეობას. Steadfast Jazz-ი ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ვინაიდან ეს პირველი მანევრებია, სადაც ჩვენ საკუთარი ტერიტორიის დაცვის ამოცანები გვექნება დასამუშავებელი,“ - განუცხდა ლატვიის თავდაცვის მინისტრმა არტის პაბრიკისმა „როიტერს.“

წვრთნებზე დასასწრებად რუს დამკვირვებლებსაც მიიწვევენ. ტრადიციულად, მსგავს წვრთნებში რუსეთი გარკვეულ საფრთხეს ხედავს ხოლმე. ნატომ მკაფიოდ აღნიშნა, რომ ამ წვრთნებს რუსეთთან კავშირი არ აქვს, თუმცა ზოგიერთი ოფიციალური პირი მიიჩნევს, რომ ეს წვრთნები მათი აღმოსავლელი პარტნიორების „დამშვიდებას“ ისახავს მიზნად, იმ ფონზე, როდესაც რუსეთი სხავდასხვა საომარ ხომალდებს აგებს და უფრო „სერიოზულ“ წვრთნებსაც ატარებს.

„გესტაპოს შეფი მიულერი, საიდუმლოდ, ებრაელების სასაფლაოზე დაკრძალეს“

გერმანული გაზეთის მიხედვით, ჰიტლერის საიდუმლო პოლიციის შეფი ჰაინრიხ მიულერი, 1945 წელს ბერლინში ებრაელების სასაფლაოზე დაუკრძალავთ. 1949 წელს გერმანიის დაზვერვა იუწყებოდა, რომ ჰოლოკოსტის ერთ-ერთი არქიტექტორი ჩეხოსლოვაკიაში შეამჩნიეს. თუმცა, გერმანულ გამოცემა Bild-ს ისტორიკოს იოჰან ტუჩელის ნათქვამი მოჰყავს: „მიულერი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ცოცხალი არ გადარჩენილა. ის 1945 წელს ბერლინში, ებრაელების სასაფლაოზე დაკრძალეს.“ პროფესორ ტუჩელის თქმით, დოკუმენტების თანახმად, თავდაპირველად მიულერი ბერლინში აეროპორტთან ახლოს დაკრძალეს, თუმცა შემდეგ იგი ებრაელთა სასაფლაოზე გადაასვენეს.

მოამზადა თამთა კახაძემ

სნოუდენი გერმანიას გამოძიებაში დაეხმარება

პირველი გვერდიდან

კერიმ აღიარა, რომ დაზვერვამ გადააჭარბა

ხუთშაბათს სნოუდენს გერმანიის ბუნდესტაგის დეპუტატი „მწვანეთა პარტიიდან“ ჰანს-კრისტიან შტრიობელე მოსკოვში შეხვდა და საიდუმლო ვითარებაში სამ საათზე მეტხანს ესაუბრა. ეს იყო სნოუდენის პირველი შეხვედრა ევროპელ პოლიტიკოსთან მას შემდეგ, რაც სამშობლოდან მიიმალა და მასალები გამოაქვეყნა. შტრიობელემ სნოუდენთან შეხვედრის შესახებ მოკლე ინფორმაცია ხუთშაბათს, გვიან საღამოსვე საკუთარ მიკრობლოგზე „ტვიტერში“ გამოაქვეყნა და გაქცეულ და დევნილ აგენტთან ერთად გადაღებული სურათიც დაურთო. ერთ-ერთმა გერმანულმა ტელეარხმა კი აჩვენა კადრი, რომელზეც შტრიობელე სნოუდენს ხელს ართმევს. გუშინვე გერმანიის პარლამენტის დეპუტატმა მის ხელთ არსებული ინფორმაცია საგანგებო სხდომაზე გააცნო ბუნდესტაგის კომიტეტს, რომელსაც სპეცსამსახურების საქმიანობის კონტროლი ევალება, მოგვიანებით კი პრესკონფერენციაც გამართა. შტრიობელე თვითონაც ამ კომიტეტის წევრია.

შეხვედრაზე სნოუდენმა ჰანს-კრისტიან შტრიობელეს მიანიშნა, რომ ბევრი რამ იცის და მერკელის ტელეფონის მოსმენის საკითხის გამოძიებაში დახმარება აღუთქვა. ის თანახმაა, ჩვენება მისცეს გერმანიის პროკურატურის გამომძიებლებს ან საპარლამენტო კომისიას, თუმცა ამისთვის გარკვეული ტექნიკური და იურიდიული პირობების შეთანხმებაა საჭირო. ჩვენების მიცემა სნოუდენს მოსკოვშიც შეუძლია - მაგალითად, გერმანიის საკონსულო სამსახურში ან თვით გერმანიაში ჩასვლით, რაც უფრო რთულია. საქმე ის არის, რომ რუსეთისგან განსხვავებით, გერმანია ნატოს წევრი სახელმწიფოა და აშშ-სთან ხელმოწერილი აქვს ხელშეკრულება სნოუდენის მსგავს ძებნილ პირთა გადაცემის შესახებ. აშშ-მ უკვე მიმართა ბერლინს სნოუდენის გადაცემის შესახებ ოფიციალური მოთხოვნით, თუ ეს უკანასკნელი გერმანიის ტერიტორიაზე აღმოჩნდება. თუმცა ამ კონკრეტულ ვითარებაში - ქვეყანაში საკუთარი გამოძიებისთვის მიწვევის შემთხვევაში გერმანია სნოუდენს ამერიკას ალბათ არ გადასცემს.

გერმანიაში მერკელის ტელეფონის მოსმენის საკითხი ბუნდესტაგის განხილვის საგანიც ხდება, შესაბამისი მოთხოვნა მემარცხენე პარტიებმა მოამზადეს და ამ საკითხს საგანგებო სხდომა მიეძღვნება. სოციალისტები და მწვანეები ღია გამოძიებას მოითხოვენ. ამას გარდა, აშშ-ში იმყოფება გერმანიის სპეცსამსახურების მაღალჩინოსნებისგან შემდგარი დელეგაცია, რომელიც ამერიკელ კოლეგებთან და პოლიტიკოსებთან მართავს შეხვედრებს. გერმანია საქმის გამოძიებასაც ცდილობს და ამერიკასთან დაძაბული ურთიერთობის მოგვარებასაც - ცხადია, ახალი პირობებით. შეხვედრები ორივე მხარის განცხადებით კონსტრუქციულია, თუმცა ჯერ შედეგის მიღწევაზე ლაპარაკი ნაადრევია.

სნოუდენს სხვა პრობლემაც აქვს. მან შეძლება, რუსეთში თავშესაფარი დაკარგოს, თუ აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს წინააღმდეგ ჩვენებას მისცემს. პრეზიდენტმა პუტინმა ზაფხულში სნოუდენი იმ პირობით შეიფარა, რომ მას აშშ-ს წინააღმდეგ საქმიანობა უნდა შეეწყვიტა. ჯერ კიდევ გუშინწინ სნოუდენის რუსი ადვოკატი ანატოლი კუჩერენა აცხადებდა, რომ დევნილი აგენტი მის ხელთ არსებულ დამატებით ინფორმაციას (რაც თავიდანვე არ მიუცია „გარდიანისა“ და „ვაშინგტონ პოსტის“ ჟურნალისტებისთვის) არ გაახმაურებს, რადგან რუსეთის ხელისუფლებისთვის შესაბამისი პირობა აქვს მიცემული.

გამოდის, რომ თუ რუსეთმა სნოუდენისგან პირობის დაცვა მოითხოვა, ის გერმანიამ ან უნდა შეიფაროს, ან ისეთ ქვეყანაში გაუშვას, რომელიც დევნილ აგენტს მიიღებს. სხვათა შორის, ორიოდე დღის წინ ეკვადორის პრეზიდენტმა რაფაელ კორეამ კვლავ დაადასტურა, რომ შეიძლება, სნოუდენს თავშესაფარი მისცეს.

სნოუდენმა კი, მისი ადვოკატის ანატოლი კუჩერენას სიტყვებით, გუშინდელი დღიდან რუსეთში უკვე მუშაობა დაიწყო ერთ-ერთ უმსხვილეს ინტერნეტ-პორტალში. უსაფრთხოებიდან გამომდინარე, პორტალის სახელი კუჩერენას არ დაუსახელებია. ჟურნალისტები გამორიცხვის მეთოდით ვარაუდობენ, რომ ეს არის სოციალური ქსელი „ВКонтакте“. მიუხედავად იმისა, რომ სნოუდენის სამსახურში აყვანას არც ეს პორტალი ადასტურებს (მაგრამ, არც კატეგორიულად უარყოფს), ეს ორგანიზაცია სნოუდენს სამსახურს ჯერ კიდევ ზაფხულში სთავაზობდა.

გუშინ აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმაც აღიარა, რომ აშშ-მ ჯაშუშობის მასშტაბებში ზოგ შემთხვევაში ნამდვილად გადააჭარბა. ის აშშ-დან ტელეხიდის საშუალებით ჩაერთო ლონდონში მიმდინარე კონფერენციის - „ღია სახელმწიფო თანამშრომლობა“ - მუშაობაში. კერიმ თქვა, რომ ამ გადაჭარბებას თავადაც აღიარებს და პრეზიდენტი ობამაც. ამას გარდა, მან პირობა დადო, რომ სპეცსამსახურების საქმიანობა გადაიხედება, რათა ასეთი რამ აღარ განმეორდეს. კერიმ თქვა, რომ მასშტაბური მოსმენის წყალობით ამერიკამ და ევროპამ თავიდან აიცილეს ტერაქტები: თვითმფრინავების კატასტროფები, აფეთქებები და შეკვეთილი მკვლელობები, რადგან მათ შესახებ წინასწარ იცოდნენ. „გარწმუნებთ, რომ ამ პროცესში უდანაშაულო ადამიანები არ დაზარალებულან, მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის შეკრება ხან ზღვარს სცილდებოდა. აშშ-ს პრეზიდენტი ობამა საკითხში ბოლომდე გარკვევისთანავე ხალხს ყველაფერს აუხსნის,“ - განაცხადა კერიმ.

პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გასცა განკარგულება და, ისევე როგორც რამდენიმე დღის წინ გაეროს შტაბბინის შემთხვევაში, აშშ-ს სპეცსამსახურებს საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ცენტრალური ოფისების მოსმენა აუკრძალა. დაზუსტებული არ არის, ხდებოდა თუ არა ეს ადრე.

ამერიკის შელახული იმიჯის და მის მიმართ ნდობისა აღდგენას, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად, კონგრესიც ცდილობს. სენატის დაზვერვის კომიტეტმა მოამზადა კანონპროექტი, რომელიც სპეცსამსახურების საქმანობას ნაწილობრივ ზღუდავს და თან კონგრესს კონტროლის მეტ საშუალებას აძლევს. კომიტეტმა ეს პროექტი უკვე დაამტკიცა და იურიდიულ კომიტეტს გადაუგზავნა. პროექტი შეიძლება, ნოემბერშივე გავიდეს პლენარულ სხდომაზე, თუმცა იურიდიულ კომიტეტსაც უკვე მომზადებული აქვს თავისი პროექტი და ჯერ შეიძლება ისინი ერთმანეთს შეაჯერონ. აგრეთვე, კონგრესის წევრები წლის ბოლომდე ევროპაში დელეგაციის გაგზავნასაც გეგმავენ, რათა მოკავშირეები ერთობლივი ანიტერორისტული პროგრამების შეუფერხებელ გაგრძელებაზე დაიყოლიონ.

ევროპარლამენტის მისიამ „ტიმოშენკოს კანონპროექტი“ აირჩია

რუსეთის ეკონომიკური ზეწოლის შემთხვევაში კი ევროკავშირი უკრაინას დაეხმარება

პირველი გვერდიდან

პარასკევს უკვე გაირკვა, რომ უკრინასა და ევროკავშირს შორის მიღწეული კომპრომისის თანახმად, ტიმოშენკოს გაშვების საფუძველი შეიძლება, ანჟელიკა ლაბუნსკაიას კანონპროექტი გახდეს.

„ჩემს პროექტს გარკვეული ნაკლოვანებები აქვს, თუმცა ვფიქრობ, მათი გამოსწორება მეორე მოსმენით არის შესაძლებელი. თუ უმაღლეს რადაში კომპომისის მოძებნის სურვილი იქნება, იმედი მაქვს, ჩემს დოკუმენტს მიიღებენ,“ - აღნიშნა ლაბუნსკაიამ.

თავად ევროკავშირის წარმომადგენლებს ეს ყველაზე მიზანშეწონილ ვარიანტად მიაჩნიათ. ამ პროექტის მიხედვით, უნდა ჩასწორდეს უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსში ისედაც არსებული პროცედურა, რომელიც გულისხმობს მსჯავრდებულების სასჯელისგან გათავისუფლებას ავადმყოფობის გამო. ლაბუნსკაიას შეთავაზების თანახმად, პატიმრები, რომლებმაც უკრაინის რომელიმე კლინიკის სტაციონარში, სულ მცირე, 365 დღე გაატარეს, მაგრამ მაინც ვერ გამოჯანმრთელდნენ, შესაძლოა, გაშვებულ იქნან სამკურნალოდ უცხოეთში. ამისთვის საჭიროა ცნობა უკრაინული კლინიკიდან და უცხოური კლინიკის წერილობითი თანხმობა ამ პირის სამკურნალოდ მიღებაზე. ავადმყოფობის გამო ასეთი პატიმრის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება ისევ სასამართლომ უნდა მიიღოს. ლაბუნსკაიას პროექტი ამით იწურება, თუმცა უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსი გამოჯანმრთელებული ადამიანის ციხეში დაბრუნებას გულისხმობს. უკრაინის ოპოზიციას ლაბუნსკაიას ვარიანტი ამის გამო არ მოსწონს, თუმცა, როგორც ჩანს, სხვა ვარიანტებს ხელისუფლება არ თანხმდება. ევროპელები კი მიიჩნევენ, რომ ამჯერად ესეც საკმარისია და დანარჩენი შეიძლება, შემდეგ გადაიხედოს. ლაბუნსკაიას პროექტის მიღების შემთხვევაში, მსგავსი სქემით, ტიმოშენკოს გარდა, კიდევ ორი პატიმრის გაშვება იქნება შესაძლებელი.

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა პარლამენტს ტიმოშენკოს საზღვარგარეთ გამგზავრების შესახებ კანონისთვის ხმის მიცემა სთხოვა. პრეზიდენტის თქმით, თავად მზად არის, კანონს ხელი მოაწეროს.

ევროკავშირი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი კი, რუსეთის მხრიდან უკრაინაზე შესაძლო ეკონომიკური ზეწოლის შემთხვევაში, ამ ქვეყნისთვის კრედიტის გაცემის შესაძლებლობას ეძებენ. თუ რუსეთი მეზობელზე ეკონომიკურ ზეწოლას გააძლიერებს, ევროკავშირი გეგმავს, უკრაინას ბუნებრივი გაზი მიაწოდოს და ფინანსური დახმარება გამოუყოს. „საერთაშორისო სავალუტო ფონდი ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მასთან კრედიტის გამოყოფის საკითხზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს,“ - ამის შესახებ „როიტერს“ ევროკავშირის წარმომადგენელმა განუცხადა.

ევროპელი პოლიტიკოსების თქმით, ფინანსურმა დახმარებამ შეიძლება, 10-15 მილიარდი დოლარი შეადგინოს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოტენციური კრედიტის გარდა, ევროკავშირს 610 მილიონი ევრო აქვს მომზადებული, რომელსაც უკრაინას ფონდთან შეთანხმების შემთხვევაში ასესხებენ.

ნატალი QUEEN კოლი

ია ვეკუა

ჩვენი ჯაზფესტივალების ხშირმა სტუმრებმა იციან, რომ აფიშაში აუცილებლად ამოიკითხავენ თანამედროვე ჯაზის არაერთი ვარსკვლავის სახელს, მაგრამ ზოგჯერ „ისტერნ პრომოუშენი“ საკუთარ თავსაც აჭარბებს და ისეთი დონის შემსრულებელი ჩამოჰყავს, ვიდრე საკუთარი თვალით არ ვიხილავთ, მანამდე რომ ვერ ვიჯერებთ. ნატალი კოლი სწორედ ამ კატეგორიაში გადის - ის ერთმნიშვნელოვნად მეგავარსკვლავია, ლეგენდაა და მას გუშინ თბილისის ჯაზფესტივალის ბოლო დღეს მოვუსმინეთ.

მანამდე ფესტივალმა ოთხდღიანი გზა გამოიარა: პირველ დღეს მარკუს მილერის მესამედ მოსვლის მოწმე გაგვხადა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ეს გენიალური ბასისტი რეალურად არანორმალურია; მეორე დღეს ორი საათის განმავლობაში ესპანელი ებრაელების შექმნილ ზღაპარში გვაცხოვრა და ავიშაი კოენისა და მისი კამერული ორკესტრის შესრულებით ჯაზისა და კლასიკური მუსიკის თანაცხოვრებისთვის გვადევნებინა თვალი; მოგვასმენინა DJ Logic-ისა და კომპანიის ველური რიტმები და ბოლოს ვიხილეთ საოცრად ელეგანტური, დახვეწილი, ჰაეროვანი და ხავერდივით ბრწყინვალე ნატალი კოლი.

„დღეს თქვენ ყველა დროის საუკეთესო მუსიკას მოუსმენთ. სავარძლებზე მოკალათდით, საზურგეს მიეყრდენით და ისიამოვნეთ“, - ასე დაიწყო კონცერტი პოპდივამ, რომელიც ამჟამად მთელ მსოფლიოში თავისი ბოლო, ესპანურენოვანი ალბომის პრომოუშენითაა დაკავებული. ჩვენთანაც ამ მისიით ჩამოვიდა, თუმცა ახალ ალბომში შესული კომპოზიციების გარდა მართლაც კლასიკად ქცეული სიმღერებიც მოვისმინეთ - პირველ რიგში, ნატალი კოლის მამის, ნატ კინგ კოლისა და მისი თაობის ლეგენდარული შემსრულებლების რეპერტუარიდან.

ნატალი კოლის კარიერა დიდი ხანია დამოუკიდებლად ვითარდება, იმდენად დამოუკიდებლად და წარმატებულად, რომ მისი სახელის გვერდით ფაქტობრივად აღარ ახსენებენ მამის სახელს. თუმცა მისი არჩრდილისგან განთავისუფლება თავად მომღერალს არ სურს, ამიტომ მამის ყოველი სიმღერის წინ მცირე შესავალს აკეთებს და ხაზგასმით შეგვახსენებს, რომ ის მსოფლიო სცენის უდიდესი ვარსკვლავის თავადაც ვარსკვლავი შვილია.

გიგა გელოსანიძის ფოტოები

როდესაც ნატალი კოლის კონცერტზე ხარ და ისმენ მართლაც ყველა დროის საუკეთესო პოპკომპოზიციებს, ფიქრებით მაინც ირვინ გორდონის Unforgettable-სკენ მიდიხარ, რადგან ოდესღაც, მრავალი წლის წინ ნატალი კოლი სწორედ ამ დიდებული კომპოზიციით გაიცანი, რომელშიც თავად ნატალი მამას გაცნობდა. Unforgettable არ აგვიანებს. მის მოსმენას კონცერტის ბოლოს, მომღერლის ბისზე გამოსვლის შემდეგ ელი, ის კი გემრიელ ლუკმას შუა კონცერტზე გაწვდის...

კონცერტის გარკვეული ნაწილი ნატალი კოლის უკვე გარდაცვლილ კუმირებსა და მეგობრებს დაეთმო. ისმოდა სიმღერები ეტა ჯეიმსისა და უიტნი ჰიუსტონის რეპერტუარიდან, ყველაზე მეტი სწორედ ამ უკანასკნელის. საღამოს ბოლოსკენ კი კვლავ ესპანურენოვან კომპოზიციებს გვიმღერის - ისინი ნატალი კოლის ამჟამინდელ კარიერაში ხომ ყველაზე მნიშვნელოვანია.

ბრიტანელი ექსპერტის თვალით დანახული ახალი სივრცეების არქიტექტურა

4-9 ნოემბერს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონული განვითარების პროგრამის ფარლებში თელავში ტარდება სიმპოზიუმი ახალი სივრცეების არქიტექტურა“. სიმპოზიუმის მიზანია ქვეყნის კულტურული პოტენციალის და კულტურული ინდუსტრიის განვითარებისთვის ხელშეწყობა და ეკონომიკური მდგრადობის გაძლიერება კულტურის მენეჯმენტის სფეროში პროფესიონალიზმის განვითარების გზით. ბრიტანეთის საბჭომ სიმპოზიუმის გასაძღოლად სპეციალურად მოიწვია ბრიტანელი ექსპერტი ჩარლზ მიერვეზერი, რომლის გამოცდილება უდავოდ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს პროგრამის შემდგომ განვითარებაში. სწორედ ჩარლზ მიერვეზერი გაუძღვება ამ ღონისძიების ფარგლებში განსახორციელებელი ყველა თემის განხილვას. ეს თემებია:

- შესაბამისი მაგალითები და განსხვავებული მიდგომები
- გლობალური ბაზარი, პოტენციური დონორები და მომხმარებლები
- ხელისუფლება, კულტურული ოპერატორები და ბიზნესი
- ახალი სივრცეები და ძველი კონცეფციები
- შედეგები და ბენეფიციარები
- ახალი სივრცეების არქიტექტურა

ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ აღნიშნული სიმპოზიუმი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება თელავის, როგორც ტურისტულად მიმზიდველი ქალაქის მდგრად განვითარებაში.

„მამაჩემი, ბობ დილანი და კაცი საკაბელოდან“

ეს წიგნი ჩემი გაფანტული ნაწერების თავმოყრის მეორე ცდაა (პირველი ცდის შედეგი 2006 წელს გამოვიდა, „პირადი ბიბლიოთეკა»). ახლო მომავალში ალბათ კიდევ ერთიორი ასეთი წიგნი გამოვა - სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ბლოგები, სტატიები, ესეები, კრიტიკული გამოხმაურებები. ამათ რომ მოვუვლი, იმედი მაქვს, საგროვებელი და თავმოსაყრელი ტექსტების გარდა გაბმული ტექსტებისთვისაც მოვიცლი.

აქ მხოლოდ ბლოგები, ესეები და რამდენიმე მიმოხილვითი წერილია შესული. კრიტიკა ცალკე წიგნად დაიბეჭდება, არ მინდოდა ზედმეტად აჭრელებულიყო წიგნის ისედაც ჭრელი თემატური შემადგენლობა. - ასე აცნობს საზოგადოებას მალხაზ ხარბედია საკუთარ ახალ წიგნს „მამაჩემი, ბობ დილანი და კაცი საკაბელოდან“

„მამაჩემი, ბობ დილანი და კაცი საკაბელოდან» რამდენიმე ნაწილისგან შედგება, აქაა ავტობიოგრაფიული ესეებიც, ბლოგები ლიტერატურაზე, მწვავე გამოხმაურებები მედიის, კულტურისა თუ პოლიტიკის საკითხებზე, მიმოხილვები, ლიტერატურული ენტომოლოგია, ქალაქი და ალტერნატიული ქალაქი, ეკოლოგია და ყოფითი ცხოვრება. წიგნი გამომცემლობა დიოგენემ“ გამოსცა და უკვე იყიდება წიგნის მაღაზიებში.

კულტურის სამინისტრომ მეურვეობა აიღო 1000-მდე დევნილ ბავშვსა და 71 დევნილ პედაგოგზე

2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად საქართველოს მასშტაბით კომპაქტურად ჩასახლებულ პუნქტებში გახსნილი 12 სახელოვნებო სკოლა კულტურის სამინისტროს ძალისხმევით აღდგა. შედეგად, წეროვანში, გორში, მეტეხში, წილკანში, კოდაში, თელიანში, შავშვეხში, სკრაში, კარალეთში, ხაშურში, მოხისსა და ახალსოფელში 71 დევნილი პედაგოგი განაახლებს მუშაობას, 1000-მდე ბავშვი კი უფასოდ დაეუფლება ხელოვნების დარგებს.

ფონდის მიერ ხელოვნები თანადგომისათვის“ 2008 წელს გახსნილმა თორმეტმა სახელოვნებო სკოლამ 2013 წლიდან შეწყვიტა ფუნქციონირება, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გურამ ოდიშარიას ინიციატივით, ნოემბრიდან ამ კერების ახალი ეტაპი დაიწყება.

1 ნოემბერს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა მინისტრ დავით დარახველიძესთან ერთად წეროვანს ესტუმრა. მინისტრი მოსახლეობას, ბავშვებსა და პედაგოგიურ კოლექტივს მიულოცა პროეტის განახლება და წეროვანის ახალგაზრდულ ცენტრს საჩუქრად გადასცა კინოთეატრის აპარატურა. გურამ ოდიშარიამ ისაუბრა სკოლის მომავალ გეგმებზეც, სადაც მუდმივად მოეწყობა სამხატვრო და მუსიკალური მასტერკლასები.

დელეგაციამ დაათვალიერა წეროვანის საჯარო სკოლაში დევნილი ბავშვების მიერ შესრულებული ხელნაკეთი ნივთების გამოფენა და შეაფასა საკონცერტო ნომრები პატარების მონაწილეობით.

24 საათი

აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს ეკონომიკისა და ბიზნესის და იურიდიულ ფაკულტეტებზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად:

1. იურიდიული ფაკულტეტი:
სრული პროფესორი - 1 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორი - 2 ვაკანსია
ასისტენტ-პროფესორი - 1 ვაკანსია.
2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი:
ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია

აუცილებელი მოთხოვნები:
**განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
** პირადობის მოწმობის ასლი;
** ავტობიოგრაფია (CV);
** შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
** ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი.

დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ eeu.edu.ge

მოწვევა ტენდერში მონაწილეობის შესახებ

თარიღი — **4 ნოემბერი, 2013**

სესხის ნომერი და დასახელება — **2479; პროექტი – გეო: ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 1**

კონტრაქტის ნომერი და დასახელება — **UWSCG/CW/ICB/Office-01, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ოფისის შენობის მშენებლობა**

სატენდერო წინადადებების მიღების ბოლო ვადა — **16 დეკემბერი 2013, 14:00სთ.**

1. საქართველომ მიიღო სესხი აზიის განვითარების ბანკიდან (ADB) ურბანული მომსახურების საინვესტიციო პროგრამის (I ტრანში) ღირებულების უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული სესხის ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოხსენებული კონტრაქტის დასაფინანსებლად. საერთაშორისო სატენდერო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ პრეტენდენტებს აზიის განვითარების ბანკის უფლებამოსილი წარმომავლობის ქვეყნებიდან.

2. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია აცხადებს დალუქული სატენდერო წინადადების მიღებას უფლებამოსილი პრეტენდენტებისგან 10-სართულიანი ახალი შენობის მშენებლობაზე, რომლის ფართობი შეადგენს დაახლოებით 5,000 მ². ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლოვანის გზის მონაკვეთზე. ძირითადი სამუშაოები მოიცავს შემდეგს: სამშენებლო ტერიტორიის ექსკავაცია, მრავალსართულიანი რკინა-ბეტონის კარკასული შენობის მშენებლობა, რომელიც მოპირკეთებული იქნება ალუმინის კომპოზიციური პანელებით; შიდა ტიხრების, კარებების, ფანჯრების, იატაკების და კედლების მონტაჟი-მოწყობა; ლიფტის, ელექტრო გაყვანილობის, კომუნიკაციების, გათბობა-კონდიცირების სისტემის, ცხელი და ცივი წყლის მილების და სანიტარული კვანძების მოწყობა; პარკირება და ტერიტორიის კეთილმოწყობა; საძირკველის მშენებლობა რკინა-ბეტონის ხიმინჯებზე და მონოლითურ ფილებზე. სამუშაოების ხანგრძლივობა შეადგენს 540 დღეს.

3. უფლებამოსილი პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, მათ შორის:

- პრეტენდენტის საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა ბოლო 3 (სამი) წლის განმავლობაში უნდა იყოს მინიმუმ 6,700,000.00 აშშ. დოლარი;
- პრეტენდენტს, ბოლო 5 (ხუთი) წლის განმავლობაში მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული მინიმუმ 2 (ორი) წარმატებულად ან არსებითად დასრულებულ მსგავსი სახის სამუშაოების განხორციელებაში, სადაც პრეტენდენტის წილი აღემატება 4,000,000.00 აშშ. დოლარს. მსგავსი სამუშაოების შედარება მოხდება სატენდერო დოკუმენტის მე-6 ნაწილში აღწერილი შენობის ზომებთან (მსგავს ზომად ჩაითვლება მინიმუმ 8-სართულიანი შენობა, რომლის სიმაღლე შეადგენს მინიმუმ 35 მეტრს და ექნება მინიმუმ 4,000 მ² ფართობი), სირთულესთან, მეთოდოლოგიასთან, ტექნოლოგიებსა და/ან სხვა მახასიათებლებთან.

.

4. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და სატენდერო დოკუმენტაციის შესამოწმებლად, პრეტენდენტები უნდა დაუკავშირდნენ საქართველოს გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანიას შემდეგ მისამართზე:
   საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია
   ვაჟა-ფშაველას გამზ. 76 ბ, თბილისი, 0186, საქართველო
   ტელეფონი: (995 32) 91 90 60
   ელექტრონული ფოსტის მისამართი: m.shalamberidze@water.gov.ge, i.mazanishvili@water.gov.ge

5. სატენდერო დოკუმენტაციის ინგლისურ ენაზე შესაძენად, უფლებამოსილმა პრეტენდენტებმა უნდა უზრუნველყონ:
   - ზემოაღნიშნულ მისამართზე **UWSCG/CW/ICB/Office-01, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ოფისის შენობის მშენებლობის** სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ წერილის გაგზავნა;
   - 500 ლარის ან 300 აშშ. დოლარის ოდენობის აუნაზღაურებელი გადასახადის გადახდა აღნიშნული დოკუმენტაციის საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში მისაღებად ან 700 ლარის ან 425 აშშ. დოლარის ოდენობის აუნაზღაურებელი გადასახადის გადახდა დოკუმენტაციის მისაღებად კურიერის მეშვეობით.

   ელექტრონული გადარიცხვა უნდა განხორციელდეს შემდეგ ანგარიშზე:
   საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია
   სს ლიბერთი ბანკი, ცენტრალური ფილიალი
   SWIFT კოდი: LBRTGE22
   ანგარიშის ნომერი: GE67LB0113123325230095 (ლარის ანგარიში)
   GE40LB0113123325230096 (აშშ.დოლარის ანგარიში)

   სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის წერილის და გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ. ალტერნატივის სახით, წერილობითი მოთხოვნის წარდგენისა და გადასახადის უზრუნველყოფის შემდეგ, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია კურიერის მეშვეობით გაუგზავნის სატენდერო დოკუმენტაცია დაინტერესებულ პრეტენდენტებს. სატენდერო დოკუმენტაციები გაცემული იქნება ნაბეჭდი სახით (ელექტრონული ვერსიაც იქნება გაცემული, თუმცა, შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ნაბეჭდ ვერსიას).

6. წარმოადგინეთ თქვენი წინადადება:
   - ზემოთ (მე-4 პარაგრაფში) მითითებულ მისამართზე;
   - **2013 წლის 16 დეკემბერს, 14:00 საათზე (ადგილობრივი დროით) ან უფრო ადრე;**
   - სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიასთან ერთად, სატენდერო დოკუმენტში მითითებულ ოდენობაზე.

სატენდერო წინადადებები გაიხსნება უშუალოდ მათი მიღების ბოლო ვადის დასრულებისას პრეტენდენტების წარმომადგენლებთან ერთად, რომლებიც მოისურვებენ დასწრებას

Invitation for Bids

Date 4 November, 2013
Loan No. and Title Loan n° 2479 (SF) for Project 1 under the Urban Services Improvement Investment Program
Contract No. and Title UWSCG/CW/ICB/Office-01, Construction of New Office Building for UWSCG
Deadline for Bids 16 December 2013, 14:00 local time

1. Georgia has received a loan from the Asian Development Bank (ADB) towards the cost of the Urban Services Investment Program (Tranche 1). Part of this loan will be used for payments under the contract named above. Bidding is open to bidders from eligible source countries of the ADB.
2. The United Water Supply Company of Georgia (UWSCG) invites sealed bids from eligible bidders for the construction and completion of a new 10-storey office building with 5,000 square metres approximately and associated works in Tbilisi (located at Nutsubidze-Vashlijvari Road section). The main works will comprise the excavation of the site, construction of a multi-storey reinforced concrete frame building with external cladding arranged with aluminium composite panels, installation of all internal partition walling, doors, windows, floor and wall finishing, elevators, electrical and communications facilities, HVAC facilities, hot and cold water plumbing, sanitary facilities, car parking and landscaping. Foundation will be arranged on reinforced concrete piles and monolith slabs. The estimated construction period for whole of the works is 540 days.
3. Only eligible bidders with, but not limited to, the following key qualifications should participate in this bidding:
   - Minimum average annual construction turnover of US$ 6,700,000.00 within the last three (3) years;
   - Participation in at least 2 contracts within the last five (5) years that have been successfully or substantially completed and that is similar to the proposed works, where the value of the Bidder's participation exceeds US$ 4,000,000.00. The similarity shall be based on the physical size (at least 8-storey buildings of more than 35 meters in height and at least 4,000 m2), complexity, methods, technology or other characteristics as described in Section 6 of the Bidding Documentation.
4. To obtain further information and inspect the bidding documents, bidders should contact:
   United Water Supply Company of Georgia LLC
   76b Vazha Pshavela ave; Tbilisi, 0186, Georgia
   Telephone: (995 32) 291 90 60
   Electronic mail address: m.shalamberidze@water.gov.ge, i.mazanishvili@water.gov.ge
5. To purchase the bidding documents in English, eligible bidders should:
   write to address above requesting the bidding documents for UWSCG/CW/ICB/Office-01, Construction of New Office Building for UWSCG
   - pay a non-refundable fee of 500 Georgian Lari or USD 300 for receiving it at the UWSCG office and 700 Georgian Lari or USD 425 for receiving it by courier.

   Payment of non-refundable fee shall be done by electronic transfer to the following bank account:
   United Water Supply Company of Georgia
   JSC Liberty Bank, Central Branch
   SWIFT CODE: LBRTGE22
   GE67LB0113123325230095 GEL
   GE40LB0113123325230096 USD

   The bidding documents can be picked up at the office of UWSCG against submission of letter from the Bidder and proof of payment. Alternatively, against written request and after payment, the UWSCG will send the bidding documents by courier to interested bidders. The bidding documents will be issued in hard copy (soft copy will also be issued, although in case of any discrepancies the hard copy shall prevail).

6. Deliver your bid:
   - to the address above, in item 4.
   - on or before the deadline: 16 December, 2013, 14:00 h
   - together with a Bid Security in the amount specified in the bidding documents.

Bids will be opened immediately after the deadline in the presence of bidders' representatives who choose to attend.

კრისი და როუზი

ზურა თალაკვაძე



დერიკ როუზი „ნიქსთან“ ბოსი იყო

დერიკ როუზი, კრის პოლი თუ ტონი პარკერი? ჩემთვის უფრო ახლოს არის პარკერი და ტონი „სან ანტონიოში“ თამაშობს. ამ შემთხვევაში მეტისმეტად სუბიექტური ვარ. და რეალური, ობიექტური შეფასება? ალბათ, პირველ ნომრებში პირველია ჭკვიანი პოლი, შემდეგ მოდის იმპროვიზატორი როუზი და მესამეზეა გრეგ პოპოვიჩის ფრანგი ფავორიტი მისტერ პარკერი. როდესაც სვლაზეა, არ ჩქარობს და ბევრს არ ფიქრობს, ამ უბანში გასეირნების უფლება რასელ უესთბრუქსაც აქვს. რასი ჯერ დასახვეწია და ის სამი უკვე შემდგარი ლიდერია. პოლი იმპროვიზაციით და ინტელექტით გიგებს და ეს ვიცით. როუზი არარეალური სისწრაფთ და სლალომის დროს არითმიით გკლავს და ეს ვიცით. პარკერი ჭკვიანი სპრინტერია. იწყებს შესვლას, ჩერდება, ისევ უმატებს და შენ იქ უკვე ზედმეტი ხარ. ეს მომენტებიც გავიარეთ. ლიგას ჰყავს სამი საუკეთესო პირველი ნომერი და დანარჩენები ჯერ სწავლობენ. პირველ კურსზე არიან. საკონტროლოებს წერენ. საშემოდგომოები უნდა აიცილონ. რომ პოლები, როუზები და პარკერები გახდნენ. ტონი ისვენებდა. პოლმა „გოლდენ სტეიტი“ დაჭრა. როუზმა „ნიქსს“ აარტყა.

პოლმა უნდა მოიგოს. ბლეიქ გრიფინთან და დეანდრე ჯორდანთან ერთად. „კლიპერსის“ ახალი მთავარი მწვრთნელი დოკ რივერსი დიდებს მოაწესრიგებს და პოლთან ერთად გუნდმა სულ ზედა იარუსში უნდა იაროს. და მოიგოს. ბევრით და ბევრი უნდა მოიგოს. პოლმა „გოლდენ სტეიტს“ მიხედა. და მოწინააღმდეგემ კრისზე სტივ კარი მიუშვა. სტივიმ 38 ქულა 9 ზუსტი სამიანიდან და სხვა ინგრედიენტებიდან გაშანსა. იქვე იყო 9 პასიც. და 11 შეცდომაც. პოლი უფრო მეტ ზუსტ პასს აკეთებს. თითქმის ყოველთვის ასეა. და კრისმა კარის, „გოლდენ სტეიტს“ და ენდრიუ ბოგატს 42 ქულა გაატარებინა საზღვარზე. 15 პასთან, 6 ჩაჭრასთან ერთად. ჩაჭრებს ლიგაში ოფიციალურად 1973/74 წლების სეზონიდან ითვლიან. პოლი პირველია, ვინც ასეთი გემრიელი კერძი შეუკვეთა. პოლი პირველ ნომრებშიც პირველია და კრისმა კიდევ ერთი წრე გაიარა. კრისმა დაგლიჯა „გოლდენ სტეიტის“ პიკ ენ როლის დაცვა და პოლი ყველაზე რთულ მოძრაობებს ყველაზე ადვილად აკეთებდა. იმიტომ რომ პოლია. იმიტომ რომ მშიერი იყო. იმიტომ რომ რივერსმა მას ნდობა ბოლომდე დაუტოვა. კრისმა მწვრთნელის ნდობა გაამართლა. ლიდერები ნაწილობრივ თვითონაც მწვრთნელები არიან. კრისიც ასეთია.

და არ ჩანდა კარის ძმაკაცი, მეორე სნაიპერი, კლეი ტომპსონი, რომელმაც წინა თამაშში, „ლეიკერსთან“, 38 ქულა წამოიღო და „კლიპერსთან“ მოერიდა. პოლის მოერიდა. შეიძლება არც მორიდებია, მაგრამ ძალიან მორიდებული იყო. 7/3 თამაშიდან და მხოლოდ 10 ქულა. ხდება ხოლმე. „გოლდენ სტეიტი“ კარგი გუნდია. დევიდ ლის, ბოგატის, ანდრე იგუოდალას, ტომპსონის და კარის გუნდი. და „გოლდენ სტეიტს“ არ ჰყავს კრის პოლი. ის მხოლოდ ერთია.

როუზიც ერთია. და მაიკლ ჯორდანიც ერთი იყო. მაიკლი იყო გენერაციების განსაკუთრებული გენერაცია და მაიკლი იყო პირველი. როუზიც პირველია და დერიკი ვერ მაიკლობს. ვერ მიდის მაიკლამდე. ვერ ქაჩავს ჯორდანივით. ვერ იგებს ჯორდანივით. ვერ გართმევს მაიკლივით თავმოყვარეობას. და როუზს ბევრი გაუცდა. დერიკმა რეგულარულის პირველ თამაშში წააგო ლებრონთან და იქ ძალიან ცუდი, უფერული იყო. მეორე შეხვედრაში როუზი მიესალმა კარმელო ენტონის, დაათვალიერა ტაისონ ჩენდლერის ტერიტორია და მოიგო. თავის სტილში, ფლეშით მოიგო. როუზმა ძირითადის დასრულებამდე 6 წამით ადრე გაუშვა ბურთი, რომელიც ჩენდლერის ხელებს გადაევლო და „ჩიკაგომ“ თრილერი 82:81 მოიგო. როუზმა საშინაო დავალება შეასრულა. როუზს უნდა მოეგო. „ჩიკაგოსთვის“ ეს აუცილებელი იყო. „ნიუ იორკი“ ძალიან კარგი გუნდია და დერიკმა ძალიან კარგ გუნდს ოცნება წაართვა. მტკივნეული იყო.

როუზი ძალიან კარგი ტიპია და „ბულზმა“ ზედიზედ მეექვსედ მოუგო „ნიქსს“. 1990-92 წლებში „ჩიკაგომ“ რეგულარულში ზედიზედ 11 თამაში წაართვა „ნიქსს“ და ის მაიკლის გუნდი იყო. ეს როუზის გუნდია და როუზმა საქმეს მიხედა.

საინტერესოდ წავიდა ყველაფერი. ლიგას ჰყავს სამი საუკეთესო პირველი ნომერი და დანარჩენები ჯერ სწავლობენ. პირველ კურსზე არიან. საკონტროლოებს წერენ. საშემოდგომოები უნდა აიცილონ. რომ პოლები, როუზები და პარკერები გახდნენ. ტონი ისვენებდა. პოლმა „გოლდენ სტეიტი“ დაჭრა. როუზმა „ნიქსს“ აარტყა.

რეგულარული დაიწყო. უკვე საინტერესოა.

რობენი: „გვარდიოლას ბაიერნი არ შეუცვლია“

„ბაიერნის“ 29 წლის შემტევი ნახევარმცველი, ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, რომ გვარდიოლას „ბაიერნის“ თამაშის ხარისხი დიდად არ შეუცვლია:

„რა თქმა უნდა ყველა მწვრთნელს თავისი მოსაზრება აქვს და გამონაკლისი არც პეპია, მან თავისი პატარა ცვლილებებით გუნდი უფრო გააძლიერა, მაგრამ დამერწმუნეთ, გვარდიოლა ჰაინკესის მიერ დამკვიდრებულ ტრადიციას აგრძელებს.

რობენი თავის ამჟამინდელ ფორმასაც შეეხო: „არვფიქრობ, რომ ჩემი თამაშის სტილში რამეა შესაცვლელი და კიდევ 2-3 წელი, ბაიერნთან ერთად მაღალ დონეზე შევძლებ თამაშს.“

ალონსო ახალ კონტრაქტზე ალაპარაკდა

მადრიდის „რეალის“ ერთ-ერთი ლიდერი, ხაბი ალონსო კლუბისგან ახალ კონტრაქტს ელოდება. ზაფხულში, მისი კლუბთან უთანხმოებაზე და „რეალიდან“ შესაძლო წასვლაზე ბევრი იწერებოდა, თუმცა ალონსომ ჟურნალისტებთან საუბრისას გავრცელებულ ჭორებს პასუხი გასცა და ახალი კონტრაქტის გაფორმების იმედიც გამოთქვა:

„კლუბის ხელმძღვანელობასთან კარგი ურთიერთობა მაკავშირებს, სანამ ტრამვირებული ვიყავი, ახალ ხელშეკრულებაზე სასაუბროდ თავს ვიკავებდი, მაგრამ ახლა დროა, რომ კლუბთან ჩემი მომავალი განვიხილო.“

31 წლის ალონსოს „სამეფო კლუბთან“ კონტრაქტი, მომავალი წლის ზაფხულში ეწურება.

რომამ ახალი რეკორდი დაამყარა

„რომამ“ იტალიის ჩემპიონატში, სეზონის სტარტიდან მოყოლებული, ზედიზედ მე-10 თამაში მოიგო და „იუვენტუსის“ რეკორდი „მოხსნა“. წელს რუდი გარსიას გუნდი მართლაც რომ საუცხოო ფეხბურთს თამაშობს და „სერია ა-საც“ 30 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს და მეორე ადგილოსან „ნაპოლის“ 5 ქულით უსწრებს. ბურთების შეფარდებაც საუცხოო აქვს, 24 გატანილი და 1 გაშვებული. იუვენტუსის რეკორდს რაც შეეხება, 2011-12 წლის სეზონის სტარტზე ბებერმა სინიორამ ზედიზედ 9 თამაში მოიგო.

მოამზადა ირაკლი გოგვაძემ

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130023829

შემსყიდველი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ტენდერის გამოცხადების თარიღი	01.11.2013 15:43
წინადადებების მიღება იწყება	05.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	07.11.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	21283 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	34100000-ავტოსატრანსპორტო საშუალებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	34113100-ჯიპები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	ორი ერთეული
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	200 ლარი
გარანტიის ოდენობა	213 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130023782

შემსყიდველი	ქ. თბილისის მერია
ტენდერის გამოცხადების თარიღი	31.10.2013 19:36
წინადადებების მიღება იწყება	17.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	22.11.2013 12:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	221600 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45100000-სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45112723-სათამაშო მოედნების მოწყობის სამუშაოები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია.
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 27 დეკემბრამდე.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	890 ლარი
გარანტიის ოდენობა	2216 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130023781

შემსყიდველი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	31.10.2013 19:35
წინადადებების მიღება იწყება	17.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	22.11.2013 13:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	378000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	32400000-ქსელები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	32400000-ქსელები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ.სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 55 კალენდარული დღე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	3780 ლარი
გარანტიის ოდენობა	3780 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130023783

შემსყიდველი	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	31.10.2013 19:36
წინადადებების მიღება იწყება	17.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	22.11.2013 12:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	11880 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	37400000-სპორტული საქონელი და აღჭურვილობა - (ინვენტარი)
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	37442200-ჰანტელის ტიპის შტანგები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	140 ლარი
გარანტიის ოდენობა	119 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

მორიგი ევროშესარჩევი მოახლოვდა - 19-წლამდელთა ნაკრები შეკრებას იწყებს

4 ნოემბრიდან საწვრთნელ შეკრებას დაიწყებს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები გუნდი. **ვასილ მაისურაძეს** და მის ფეხბურთელებს წინ უფას ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები ელით.

17-წლამდელთა ევროშესარჩევის მსგავსად, ამ საკვალიფიკაციო ეტაპის მასპინძელიც საქართველოა. ელიტრაუნდის საგზურის მოსაპოვებლად ჩვენი ჭაბუკები მე-11 ჯგუფში - **ჰოლანდიის, უელსისა და მოლდოვას** ნაკრებებთან ერთად იბრძოლებენ.

ჩვენი ნაკრები სასტუმრო „ბომონდ გარდენში“ იცხოვრებს და ყოველდღიურ ვარჯიშებს სფფ-ის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ გამართავს. ვასილ მაისურაძემ შეკრებაზე 24 ფეხბურთელი გამოიძახა, რომელთაგან შესარჩევის დასაწყისისთვის 18 საუკეთესოს აარჩევს.

მეკარეები: ოთო გოშაძე, ბექა ქურდაძე (ორივე „საბურთალო“), ნიკა შერმადინი („მეტალურგი“, რუსთავი)

მცველები: ნიკოლოზ ჭანტურია, გიორგი გაბაძე (ორივე „ტორპედო“ ქუთაისი), ალექსანდრე გურეშიძე, გიგა სამხარაძე, ოთარ კაკაბაძე (ყველა „დინამო“ თბილისი), ჯემალ ტაბიძე („საბურთალო“), გიორგი გაფრინდაშვილი („დილა 2“, გორი)

ნახევარმცველები: ჭიაბერ ჭეჭელაშვილი, გიორგი პაპუნაშვილი (ორივე „დინამო“ თბილისი), გიორგი გოროზია, მათე ცინცაძე, ნიკოლოზ ახვლედიანი, ლუკა კიკაბიძე (ყველა „ტორპედო“ ქუთაისი), გიორგი აბურჯანია („დილა“, გორი), გიორგი თევზაძე („საბურთალო“), ლევან შენგელია („დილა 2“, გორი)

თავდამსხმელები: დავით ჯიქია, ალეკო მზევაშვილი (ორივე „ტორპედო“ ქუთაისი), ლუკა ზარანდია („ლოკომოტივი“, თბილისი), ილია კერძევაძე („დილა 2“, გორი), დავით დარციმელია („ალგეთი“, მარნეული)

საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები **13 ნოემბრიდან** დაიწყება. მანამდე კი გუნდის ვარჯიშების გრაფიკისა და დაგეგმილი პრესკონფერენციის შესახებ სფფ-ის პრესსამსახურისგან წინასწარ შეიტყობთ.

სფფ-ის პრესსამსახური

„ანორთოსისში“ თემურ ქეცბაიას დაბრუნებაზე მსჯელობენ

პირველი გვერდიდან

ერთ-ერთი კვიპროსული ტელევიზია თემურ ქეცბაიას გაესაუბრა კიდეც - „ანორთოსისის“ ყოფილი მწვრთნელი კვიპროსულ კლუბში გატარებულ წლებს იხსენებს, საუბრობს ჩემპიონთა ლიგაზე, „ანორთოსისში“ შესაძლო დაბრუნებაზე, საქართველოს ნაკრებზე. ფეხბურთელობისას ქეცბაიასთვის „ანორთოსისი“ პირველი უცხოური (1992-1994 წლებში) და მერე უკვე ბოლო კლუბი იყო (2002-2006 წლები), რომელშიც პროფესიული კარიერა დაასრულა.

„გამიმართლა, რომ ჩემი სამწვრთნელო კარიერა ასე დაიწყო - „ანორთოსისი“ გახდა პირველი კვიპროსული გუნდი, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გავიდა. დღეს სხვა ვითარებაა. სტადიონი ცარიელია. ცოტა ხნის წინათ „აპოელ“-“ანორთოსისს“ დავესწარი. მატჩის დასრულებამდე ათი წუთი რჩებოდა, როცა სტადიონი დავტოვე. გარეთ გამოსულმა კი ვნახე, რომ ნახევარი ქალაქი გარეთ იყო.

...ბევრი ფიქრობს, რომ დისციპლინის მკაცრი მიმდევარი ვარ. მთავარი მხოლოდ დისციპლინა არ არის. გუნდში ოჯახური ატმოსფერო უნდა იყოს. ასე იყო „ანორთოსისში“ ჩემ დროს.

2008 წელს „ოლიმპიაკოსის“ დამარცხებით „ანორთოსისი“ გახდა პირველი კვირპოსული კლუბი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა

„ანორთოსისში“ ჩემი შესაძლო დაბრუნება? როგორ უნდა დავეხმარო კლუბს, როცა საქართველოს ნაკრებში ვმუშაობ? იცით, როგორი შთაბეჭდილება შემექმნა? „ანორთოსისში“ მხოლოდ მაშინ მეძახიან, როცა უჭირთ და პრობლემები აქვთ. ეს პირველად არ ხდება. როგორც კი საქმე ცუდადაა, ქეცბაიას ურეკავენ. მე რა, ექიმი ვარ?

ძნელია ყოველ ჯერზე მისვლა და სხვისი შეცდომების გამოსწორება. ახლაც ცუდად მახსენდება, როცა ქინქლაძე სათამაშოდ ჩავიყვანეთ, დაგვცინოდნენ მისი ზედმეტი წონის გამო. ძნელია ისეთ ხალხთან ერთად მუშაობა, რომლებსაც სათანადო საფეხბურთო ცოდნა არ გააჩნიათ.

აი, სწორედ ამიტომ უჭირს „ანორთოსისს“, მე კიდევ სხვისი შეცდომების გამომსწორებლად ვერ გამოვდგები.

...მაშინაც არ მინდოდა „ანორთოსისიდან“ წასვლა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. ეს ნაბიჯი ისევ გუნდის საკეთილდღეოდ გადავდგი. არავინ იცის, რა მოხდება მომავალში. მე ხომ საფეხბურთო ცხოვრების ნახევარი „ანორთოსისში“გავატარე.

...საქართველოს ნაკრებზე? ვერ ვიტყვი, რომ კარგად მივდივართ, მაგრამ პატარა ნაბიჯებით მაინც წინ მივდივართ. შესარჩევ ჯგუფში მეექვსე ადგილიდან მეხუთეზე გადავინაცვლეთ, მომდევნო შესარჩევში კი - მეხუთედან მეოთხეზე. 2016 წელს 24 გუნდი გავა ფინალურ ეტაპზე და ვეცდებით, მათ შორის მოვხვდეთ. იმედი მაქვს, ახალგაზრდა ფეხბურთელები შემდეგ შესარჩევ ციკლში უფრო გამოცდილები და მომზადებულები იქნებიან“.

...“ანორთოსისი“ მესამე ადგილზეა ჩემპიონატში. გუნდმა ზაფხულში ევროტურნირებზეც ცუდად ითამაშა - ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე შვედურ „გეფლესთან“ შინ მოგებული 3:0-ის შემდეგ, სტუმრად 0:4 წააგო და გათამაშებას გამოეთიშა.

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები ფინეთთან სათამაშოდ მზადაა

საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები მეორე ოფიციალური მატჩისთვის ემზადება. ჯორჯ რასიჩის გუნდს მსოფლიოს 2015 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის შეხვედრა ხვალ, 18 საათზე, თბილისის სპორტის სასახლეში ფინეთის ნაკრებთან უწევს, რომელმაც პირველი მატჩი თურქეთს 26:20 (15:12) მოუგო.

საქართველოს ნაკრებში ლიტვასთან წაგება დაივიწყეს და ფინეთზე ფიქრობენ

საქართველოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო მატჩში ლიტვასთან 17:23 (7:12) დამარცხდა. წაგების ერთ-ერთი და მთავარი მიზეზი ის იყო, რომ საქართველოს ნაკრებს ასეთ დონეზე კარგა ხანია არ უთამაშია.

დღეს საქართველოს ნაკრები ფინეთთან შესახვედრად ოპტიმალური შემადგენლობით ემზადება. ჩვენი ნაკრების კიდევ ერთი მეტოქე ჯგუფში თურქეთია, რომელიც 3 ნოემბერს ლიტვას უმასპინძლებს.

შემდეგ ეტაპზე მხოლოდ პირველი ადგილის მფლობელი გადის, რაც ასევე ართულებს საქმეს.

საკვალიფიკაციო ტურნირის მეორე ეტაპის მონაწილე გუნდები ფლეი ოფში, ორ შეხვედრაში, მიმოსვლით გამოვლინდებიან.

მსოფლიო ჩემპიონატი 2015 წლის იანვარში, 24 გუნდის მონაწილეობით, ყატარში გაიმართება. მასპინძელი გუნდი და მსოფლიო ჩემპიონი, ესპანეთი, ტურნირში შერჩევის გარეშე იასპარეზებენ. ევროპას, ესპანეთის გარდა, 12 ადგილი აქვს გამოყოფილი. სამ საგზურს მიიღებს ევროპის 2014 წლის ჩემპიონატის სამი საუკეთესო გუნდი (მონაწილეობენ: ესპანეთი, დანია, ჩეხეთი, მაკედონია, ავსტრია, ისლანდია, უნგრეთი, ნორვეგია, სერბეთი, საფრანგეთი, პოლონეთი, რუსეთი, ხორვატია, შვედეთი, ბელარუსი, მონტენეგრო). დანარჩენი 12 მონაწილე ქვეყანა გადავა მსოფლიო ჩემპიონატის ფლეი ოფში. მათ დაემატება გერმანია და პირველი ეტაპის 5 გამარჯვებული.

მსოფლიო ჩემპიონატის კვალიფიკაცია.

ევროპის პირველი ეტაპი

პირველი ჯგუფი: ლიტვა, თურქეთი, საქართველო, ფინეთი
30 ოქტომბერი:
ლიტვა - **საქართველო** 23:17
ფინეთი - თურქეთი 26:20
3 ნოემბერი:
თურქეთი - ლიტვა
საქართველო - ფინეთი
2 იანვარი:
ფინეთი - ლიტვა
თურქეთი - **საქართველო**
4-5 იანვარი:
ლიტვა - ფინეთი
საქართველო - თურქეთი
8-9 იანვარი:
საქართველო - ლიტვა
თურქეთი - ფინეთი
11-12 იანვარი:
ლიტვა - თურქეთი
ფინეთი - **საქართველო**
მეორე ჯგუფი: სლოვაკეთი, რუმინეთი, კვიპროსი, იტალია
მესამე ჯგუფი: სლოვენია, უკრაინა, შვეიცარია, ლუქსემბურგი
მეოთხე ჯგუფი: ჰოლანდია, ისრაელი, საბერძნეთი, ბელგია
მეხუთე ჯგუფი: პორტუგალია, ბოსნია, ლატვია, ესტონეთი